48
977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიმინდარი

2

1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება
სსრ კავშირის
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქართული რესპუბლიკური საბავშვო ჟურნალის „პიონერის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

პიონერთა და მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს ქართული რესპუბლიკური საბავშვო ჟურნალი „პიონერი“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1977 წლის 14 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრიალეთის ციალი

ელგუჯა
მერაბიშვილი

მოთხრობა

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

•

— რუსიკო, გამოხედე სტუმრებს, — მოესმა წიგნით ხელში მოაჯირზე გადმოყუდებულ გოგოს.

— დედიკო, მამა მოვიდა, — ოთახში შესძახა გოგომ და კიბეზე დაეშვა.

ვახტანგმა ჭიშკარი გააღო და მესერს მიღმა გაჩერებული მანქანისაკენ გაბრუნდა.

— ნესა, ბედო, ნუ დამიწყეთ ახლა გაუთავებელი ფეხების ფხეკა, ამოდით, — შეეპატიჟა რუსიკო და შუქიას მოხვია ხელი. — მთელი სკოლა ჩქერულას ხეობიდან ჩამოტანილ ამბავს ელოდება. მართლა დანგრეულა შუბნიშანი?

— ნაწილობრივ.

— როგორ ნაწილობრივ, წესიერად გამაგებინე.

— ჩრდილოეთის კედელია ჩამონგრეული და კიდევ გარედან მიშენებული რაღაც სათავსი, — ჩაერია რატი გოგონების საუბარში.

— რაღაც სათავსი კი არა, ეკვდერი ყოფილა, — სიტყვა შეაშველა ავთომ.

რუსიკო ოთახში შეუძღვა სტუმრებს და დასხდომა შესთავაზა.

— ფიზიკაში მეცადინეობდი? — გადაშლილ წიგნთან შეჩერდა ბედუკა.

— რისი მეცადინეობა, დროს ვკლავდი თქვენს მოლოდინში.

ტელეფონმა დარეკა. რუსიკომ ყურმილი აიღო და გაეპასუხა. ტანმორჩილი გოგო იყო, პირმრგვალი, ფერმიხდილი.

— თორნიკეა, — შესცინა ბიჭებს, — ეს მეხუთედ რეკავს.

რატიმ წასტაცა ყურმილი და მაშინვე ავთოც მის გვერდით აისვეტა.

— ჩრდილოეთის კედელი სანახევროდ აღარა აქვს ტაძარს და მთელი ფრესკები დღის შუქით არის განათებული, გამიგე?.. მისწრებაა, სახატავად.

— მართლა? — იკითხა რუსიკომ.

ბედუკამ ოდნავ გადააქნია თავი. ის ახლა ბეკურა პაპაზე ფიქრობდა, ეულ ბერიკაცზე, რომელსაც თავისი მშობლიური კუთხის სიყვარული არ აძლევდა ნებას, იქაურობას გამოსცლოდა.

— საწყალ ბეკურა პაპას ლანდები აწვალებენ, იცი? — წასჩურჩულა შუქიამ რუსიკოს და ფართოდ გახელილი დიდრონი თვალები შეანათა.

— ლანდები კი არა, მე მგონია, მართლა ვიღაცა დაწანწალებს ჩქერულას ხეობაში, — დაფიქრებით თქვა ბედუკამ.

ვახტანგი შემოვიდა, ბიჭებს საუბრის დამთავრება აცალა და მაშინვე ნომერი აკრიფა. ბავშვები სმენად იქცნენ.

—ბატონო გობრონ, ნაშუადღევს რომ გელაპარაკეთ, იმის თაობაზე შეიტყვეთ?.. კი, ვიყავი... ამ წუთას დავბრუნდი... ერთი კედელია ჩამოქცეული... იისციხესთან მომხდარა... ზედა ციხის ძირას მიწაც მომზღვლეულია კლდესთან ერთად და, არ იკითხავთ, რა გამოჩენილა ფლატეში?... ტაძარი — საოცრება, სხვას ვერაფერს დაარქმევ... ცხადია, მხოლოდ ერთი კედელი მოჩანს, აღმოსავლეთი ფასადი... საფიქრებელია რომ ეს არის ლეგენდებში შერჩენილი ია-ყვავილას ტაძარი... გუმბათი ჩაქცეულია ალბათ... შუბნიშანთან?.. კი, კაცო... სარესტავრაციო ჯგუფთან ერთად... დილაზე, ხომ?.. კი, ბატონო, გაუთენებლივ მანდ გავჩნდები... ნახვამდის, — ვახტანგმა ყურმილი დადო და ბავშვებისაკენ შემობრუნდა, — ძეგლთა დაცვის საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს დავურეკე, სანამ მთაში წავიდოდი, და ახლაც მას ველაპარაკე. მიპასუხა, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს ჩქერულას ხეობაში ქანის აფეთქების თაობაზე, პრეზიდიუმსაც კი შევატყობინეო თბილისში...

— მამიკო, მილიციიდანაც დარეკეს წეღან, კაპიტანი უანდარელი ვარო, რომ დაბრუნდეს, აუცილებლად

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 1.

კ. მარქსის სახ. ...

დამელაპარაკოსო, — უთხრა რუსიკომ და ქაღალდის ნახევზე ჩაწერილი ტელეფონის ნომერი გაუწოდა.

— ოჰ, ეს გობრონი... ქვეყანა შეუყრია, — ხელები გაშალა ვახტანგმა და ბავშვებს მიუბრუნდა: — მოდი, ჯერ თქვენ გაგისტუმრებთ და ჩემს საქმეებს მერე გავარიგებ.

გვერდითა ოთახში გავიდა და მალევე დაბრუნდა, ხელში ფერადი საქაღალდე ეჭირა და გზადაგზა ხსნიდა.

— გობრონს რომ ველაპარაკებოდი, ალბათ მიხვდით, რომ აფეთქების შედეგად იისციხესთან მორღვეულ ფლატეში იისფერი ქვით ნაგები ტაძრის კედელი გამოკრთა. ჩემი ვარაუდით ეს არის ხალხურ თქმულებაში შერჩენილი ია-ყვავილას ტაძარი. ცხადია, ყველას დაგაინტერესებთ, შეიცნოთ მისი ლამაზი კედლების შიგნით გამომწყვდეული, ან თუ წასულ საუკუნეებს თან გაყოლილი სულისშემძრავი ამბავი. მე ამ საიდუმლოს კარს შემთხვევით მივადექი, როცა ნუსხური ასოებით ორ სვეტად ნაწერი, მწვანე ფოთლების ჩაგრეხილი უწყვეტი ყლორტით მოხატული ის ძველი ხელნაწერი ჩამივარდა ხელთ... და ვიდრე ხელნაწერს დანიშნულებისამებრ ჩავაბარებდი, აი ეს თავფურცელი გადმოვაასლე იმ ტყავის ქაღალდით შედგენილი წიგნიდან და კიდევ გამადიდებელი შუშით ვჩხრიკე გამქრქალებული სინგურიანი სტრიქონები და ის ადგილი გადმოვიტანე ახალ ქართულზე, სადაც სამხრეთ საქართველოში მომხდარი მეთოთხმეტე საუკუნის ამბებია მოთხრობილი, — მასწავლებელმა საქაღალდიდან ფანქრით ნახატი თავფურცელის ასლი ამოიღო.

სქელ მუყაოს ნაჭერს ორხაზიანი წითელი ზოლით თაღოვანი ჩარჩო ჰქონდა შემოვლებული, შუაში კი მსხვილი მოყვითალო ხაზებით ჩახატული ჯვარი მოჩანდა.

— თვით ხელნაწერი ამჟამად საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში ინახება, ხოლო ჩემს მიერ ამოწერილი თხზულება ჩვენთან, სკოლის სამუზეუმო ექსპონატების კარადაში მაქვს ჩაკეტილი. აი მისი გასაღები. ძალიან მინდოდა, ერთად წაგვეკითხა, მაგრამ... — ვახტანგმა სიტყვა აღარ დაამთავრა, გასაღები ბედუკას გადასცა, მხარზე ხელი მოხვია ბიჭს და აივნამდე გააცილა. — გაკვეთილებს ხელი არ მოაკლოთ, მაგრამ ისიც გახსოვდეთ, რომ ექსპედიციის გამგზავრებამდე ორი დღეღა დარჩა, — არიგებდა გზადაგზა.

ბავშვები კიბეზე ჩადიოდნენ. ბედუკამ თრიალეთის მხარეს გახედა ჩაბნელებულ ცას, შეთხელებულ ღრუბლებში გამომკრთალი ვარსკვლავისაკენ გაიშვირა ხელი და თავისთვის თქვა:

— ვინ იცის, დღეს პირველად რამდენი საუკუნის შემდეგ ხედავს ამ ვარსკვლავს ია-ყვავილას ტაძარი.

მოაჯირთან მდგარ რუსიკოს ნათქვამი მოეწონა. კიბეზე ჩამავალი ბედუკა მაღლიდან კისერჩამძვრალი და ჩია ჩანდა.

„უყურეთ ერთი ამ კუბღირას, რამოდენა ფიქრი ჰქონია“, — გოგო ღიმილმორეული გაჰყურებდა ჭიშკარში გამავალ ამხანაგებს.

— დიდი ჩხირკედელა ვინმეა და თანაც საზრიანი, — ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

რუსიკომ ახლაღა შეამჩნია მის გვერდით მდგარი მამა, მიხვდა, რომ ისიც ბედუკაზე ფიქრობდა.

— ბედო, დამიცადე! — მოესმა ბიჭს უკანიდან.

უნდომრად მიიხედა. წვიმდა. განა შეიძლებოდა ახლა ვინმესთვის დაეცადა და მერე მასთან ერთად ზოზინით ევლო ამ ძანძახში. ქეთინო იყო. სახეებიანი ქოლგა გაეშალა და აჩქარებით მოაბიჯებდა. წამოეწია, ქოლგა გადააფარა და მერეღა უთხრა სალამი.

— გვიან ღამემდე გაზეთს ვწერდი, საშინაო დავალება ბოლოსათვის შემოვიტოვე და სულაც ისე დამრჩა, — იღლიაში გრაგნილი ქაღალდი გაეჩარა, ირიბად ეჭირა, წვიმამ არ დამისველოსო. — ახია ჩემზე, საექსპედიციო რაზმში არ ჩამრიცხეთ, მე კი მაინც გიწერთ გაზეთს, — თურაშაულივით ლოყაწითელი წაბლისფერთმიანი გოგო იყო, ლაპარაკისას ხმა ეხრინწებოდა, ზოგჯერ სულაც უწყდებოდა და ჩურჩულზე გადადიოდა.

ბედუკა სხვაგან იყო ფიქრით, ზოგჯერ თუ ესმოდა გვერდით მომავალი მოსაუბრის ხმა. ერთი სული ჰქონდა, სკოლაში მისულიყო და მალე გაეხსნა კარადის კარი.

ქეთინო სკოლის პარმაღთან ჩამორჩა ქოლგისა და ფეხსაცმლის წესრიგში მოსაყვანად. ბედუკამ სწრაფად გაიარა ცარიელი დერეფანი და ჯიბეში გასაღები მოისინჯა...

ისტორიის კაბინეტში დახუთული ჰაერი იდგა. ბიჭმა სარკმელი გააღო და მაშინვე კარადას ეცა. საქაღალდე მალე იპოვა, მაგრამ გახსნა აღარ დააცადეს — ქეთინო და მერვეკლასელი ნანი შემოვიდნენ. ნანის თავისი წერილის წაკითხვა სურდა კედლის გაზეთში და იმიტომ შემოყვა.

— წაიკითხე, პატივცემულო რედაქტორო, და ხელი მოაწერე, — ქეთინომ მაგიდაზე გაშალა მილივით დახვეული ქაღალდი.

„მ ა ც ნ ე“ ეწერა გაზეთს დიდრონი ლამაზი ასოებით. მერე ქვეშ წვრილად იყო მიწერილი, რომ ეს იყო ისტორიის შემსწავლელი წრის მეოთხედური ორგანო. ბედუკამ მოწინავე წერილს დაუწყო კითხვა, ნანი გვერდით ამოუდგა, ერთხანს აცალა ბიჭს, ბოლომდე ჩაეკითხა მოწინავე, მერე კი თვითონ დაიწყო თავისი წერილის ხმამაღლა კითხვა: „ჩემი სამშობლო საბჭოთა კავშირია“.

„ჩვენი სკოლა მონაწილეობას იღებს პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ მხარეთმცოდნეობის ექსპედიციაში, რომელსაც დასაბამი მიეცა 1975 წელს რჩეული საექსპედიციო რაზმების შეკრებაზე პიონერთა ბანაკ არტეკში.

პიონერთა და მოსწავლეთა საკავშირო ექსპედიცია მოწოდებულია აღზარდოს მომავალი თაობა ლენინისა და მისი თანამებრძოლების გმირული ცხოვრების მაგალითზე, ყოველმხრივ შეასწავლოს თავისი მხარე, მისი გმირული წარსული და ბობოქარი თანამედროვეობა.

ექსპედიცია მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მთავრდება 1976 წლის სექტემბერში და ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობას, ხოლო მეორე სტარტს აიღებს სექტემბერშივე და ფინიში ექნება 1977 წლის ნოემბერში. იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავს.

პიონერებო და მოსწავლეებო, დადექით კომუნისტური პარტიის საქმისათვის ბრძოლისა და შრომის ავანგარდში!

„ჩვენი მთავარი საქმე სწავლაა,
ხარისხის ნიშანი — ფრიადები...“

ბედუკა აღარ უსმენდა, ახლა სხვა წერილებს ათვალიერებდა, მერე ხელი მოაწერა, შემინულ ჩარჩოში ჩასვა და დერეფანში გამოჰკიდა. როგორც იქნა, თავიდან მოიშორა გოგონები და კვლავ კაბინეტში დაბრუნდა. მაგიდაზე დატოვებული საქაღალდე ფაციფუცით გახსნა და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა თავფურცელს...

„თ რ ი ა ლ ე თ ი ს ც ი ა ლ ი“ ეწერა სათაურად. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ უნდოდა ახლავე ჩასჯდომოდა და წაეკითხა, მაგრამ დრო აღარ იყო საამისო. საკლასო ოთახისაკენ მიმავალს დერეფანში მოუსწრო ზარმა.

ნესტანს გრძელ ჯოხებზე შემოგრაგნილი რუკები ეჭირა, ალბათ გეოგრაფიის მასწავლებელი კაბინეტში აღარ აპირებდა გაკვეთილის ჩატარებას.

ნესტანმა ორივე რუკა დაფის გვერდით დაჰკიდა კედელზე და მერხისაკენ წამოვიდა. გაკვეთილი დაიწყო.

ბედუკას ისედაც უყვარდა გეოგრაფია, მაგრამ ახლა სულ სხვა სივრცე მოჩანდა რუკაზე... ძველი, უკურნებელი ტკივილებით შეძრული თრიალეთი გეოგრაფიას ეკუთვნოდა, გეოგრაფია იყო ჩქერულას ხეობაც — ქართული მიწის გულის ნაწილი.

მასწავლებელი იდგა გაშლილ რუკასთან, მთებს გულზე ადებდა ჯოხს და გატაცებით ლაპარაკობდა წიაღისეულზე. აბა რა იცოდა, რომ მთებს სულ სხვა რამეც ედოთ გულში...

მეოთხე გაკვეთილის შემდეგ მეცხრეკლასელები შემოვიდნენ და ბედუკას დაადგნენ თავს: ჩვენ შრომის გაკვეთილებს ვაცდენთ, რა მოხდება, შენც რომ ხაზვა გაიცდინო და ხელნაწერის საკითხავად წამოგვყვეო. ბედუკამ თავი გააქნია.

— რა ნებავთ? — გამოსძახა მარატმა.

— ჩამციებიან, სახლის ადგილი მოგვიზომეო, მე კი შენთან ვგზავნი, მამასახლისი აგერ წევს-მეთქი.

რატის და ავთოს გაეცინათ, მერხზე გადაწოლილი მარატი მაშინვე გასწორდა, სათვალე მოირგო და წიგნს მიუბრუნდა.

— ვითომ მამასახლისისა გეშინია? — გაეღრიჭა რატი, — წამოდი, წავიდეთ.

ბედუკამ ამრეზით შეხედა მოსულთ.

— ჩვენი „მაცნეს“ ახალი ნომერი წაიკითხეთ?

— მაშ როგორ! — არც დაფიქრებულა ავთო.

— მაშინ ლექსსაც წაიკითხავდით, ნანის წერილის ბოლოში რომ წერია.

— რა ბრძანებაა, ერთი ასოც არ გამოგვიტოვებია, — რატიმ გულზე მიიდო ხელი.

— რაღაც არ გეტყობათ, — ბედუკამ მქირდავად შეათვალიერა ბიჭები, წამოდგა, მასწავლებლის მაგიდიდან დიდი ფარგალი აიღო და დაფაზე ნახაზის აგებას შეუდგა.

რატი და ავთო უჩუმრის პირით გაიკრიფნენ საკლასო ოთახიდან.

●

გაკვეთილების შემდეგ ისტორიის კაბინეტში შეგროვდნენ საექსპედიციო რაზმის წევრები. მაგიდას შემოუსხდნენ და მოსასმენად მოემზადნენ. მხოლოდ ნესტანი იდგა.

— დაიწყე, გოგო, რაღას უცდი? — რატის მოუთმენლობა ტანჯავდა.

ნესტანს ხელნაწერი უთრთოდა ხელში...

„თრიალეთის ციალი“

ვიოფლე წერით, მე ანანია ბრმამან და ფრიად უღონომან, მლოცველმან წმინდისა დედუფლისა ხითიხათუნისამან და შევწირე ია-ყვავილას — საყოფელსა წმინდისა გიორგისასა.

ეს ეწერა თავფურცელზე. აქვე ვახტანგ მასწავლებელს მცირე მინაწერი გაეკეთებინა ფანქრით: „ეს ის ანანია უნდა იყოს, რომელიც თვით ამ ნაწერებში იხსენიება, როგორც ბექა ჯაყელის კარზე მოღვაწე ყამთააღმწერელი“. ამბავი კი მეორე გვერდიდან იწყებოდა. ნესტანმა ფრთხილად გადაფურცლა და ხმამაღლა წაიკითხა უცხო სათაური:

მთავარი კოშკის ქვედა სართულის ვრცელ დარბაზში დაივანა ბექამ გადახდილი ბრძოლის შემდეგ. აქიმმა უცხო ბალზამითა და მალამოებით დაუამა ყველა ნაჭდევი ტანზე, მაგრამ ახლა სახსრები სტეხდა წლებითა და გარჯით დაღლილს.

კუთხეში დაყუდებული დიდი ხატის წინ სანთლებს ანთებდა მისი თანამეცხედრე ვახახი. გამხდარი, მხრებში მოხრილი სასოებით შეჰყურებდა ხატსა უფლისას და გულმხურვალედ ევედრებოდა...

სარგისი შემოვიდა. ახოვანი, ულვაშა და მხარბეჭიანი ძლივს შემოეტია ცალკალთაგახსნილ მუხის კარში. ყვითელი დიბის კაბა ეცვა სარგისს, მურასა ღილებიანი, წელზე ვერცხლის სარტყელი ეკეთა და დიდი ხანჯალი ეკიდა. მამის წინ შედგა და გულზე დაიდო ბეჭდიანი ხელი.

— დაჯექი, შვილო, — ბექამ წამოიწია და სასთუმალი შეიმაღლა, — სათქმელი მაქვს.

სარგისი სელზე ჩამოჯდა მოფარდაგული ტახტის გვერდით, რომელზეც მამა იწვა და მოსასმენად განემზადა.

— გიორგის სამეფოდ ვამზადებ, ლაშქრის გაძღოლის ხელოვნებასაც ვაჩვევ და უცხოდ საუბარსაც, მაგრამ ეყოლება კი ოდესმე ლაშქარი?.. აი რა მაფიქრებს ხშირად. თუმცაღა ვიცი, ჰაერივით სჭირდება ახლა ჭკვიანი და გულლომი მეფე საქართველოს, მაგრამ ვაითუ სვე გაუმრუდოს უფლისწულს მუხანათმა საწუთრომ... იმად გამოვატარე ჩქერულას ხეობაში ლაშქარი, იმად შეგახედეთ შოშიტასეულ იავარქმნილ ციხეს, უმემკვიდრეოდ დარჩენილს...

ამის გამგონე წინ წამოდგა დედუფალი ვახახი. მძიმე ქსოვილის კაბა ეცვა, ჩოხის თარგზე ნაკერი, გულდახურული. გლოვის ნიშნად სამწვერა თალხი თავმანდილი ებურა.

— ვიფიქრე, ეგებ აგვეშენებინა ახალი ციხე თრიმლასთან... მაშინ საათაბაგოს მხარში ამოუდგებოდა მესხეთ-თრიალეთის საზღვარზე ახლად აგებული ციხე-გალავნის პატრონი... თქვენი ერთადერთი დისწული.

— გიორგი?.. მაგრამ შოშიტას ასული?..

— ციავს შევრთავდით უფლისწულს და გაჩნდებოდა საათაბაგოს გვერდით მამული საუფლისწულო. და თუ დაჰკრა ყამმა და გიორგიმ იწყო აღმოცისკრება ერთიანი საქართველოს ცაზე, დაშვენდებოდა სამეფო გვირგვინი მის გვერდით მდგარ ციაგ დედოფალს... ეგ ბავშვები ერთმანეთისათვის არიან გაჩენილი...

— გაგონა მაინც ეს სიტყვები მის უბედურ დედას, სვედავსილ სითიხათუნს, ცას ეწეოდა სიხარულით. — ვახახს თვალები მოუწყლიანდა. — დედულეთიც ამოუწყდა უბედურს... მაგრამ ის წლები წაგვიდა, ჩემო პატრონო, როცა შეგეძლო და აშენებდი.

— ახლაც ავაშენებ. შენც მომეხმარები შენი ბერებითა და მლოცველებით. ქართლიდან გადმოხვეწილ დამშეულთ ლუკმას როგორ დავამადლი, მაგრამ მამულისათვის რომ ერთი ციხე შეგვემატებინა, არც მათ დაზარდებოდათ გარჯა და არც ჩვენ დაგვნანდებოდა გაწეული ხარჯი. ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს.

— საშენ მასალას კი მივზიდავთ, მაგრამ სად ვიშოვოთ ასე უცბათ მზა კირი დულაბისათვის? — გაბმული წარბები შეიტეხა სარგისმა და მამას შეხედა.

— მესამე წელიწადია თრიმლასთან ავაგის მიერ დატოვებული კირის ცომი მყავდება დახურულ ორმოებში, სწორედ რომ კარგ დულაბს შეკრავს... სპონდიოსა და პორფირის ქვას იქავე მოვჭრით სამტეხლოებში... მე უფ-

რო სხვა რამ მაფიქრებს, — ბექა წამოდგა და აღელვებული დარბაზში სიარულს მოჰყვა.

— რაი, მამავ? — ჩაეძია სარგისი.

ბექა მუხის განჯინასთან შედგა, კარი გააღო და იქიდან ხეში ფაქიზად გამოთლილი ტაძრის ქანდაკი გამოიღო, ჰაეროვანი ჩუქურთმებით შემკული, ცაფერით დახურული ორკალთიანი სახურავებითა და მაღალყელიანი გუმბათით.

— აი, ეს ტაძარი მინდა ავაშენო შიდა ციხის ეზოში წმინდა გიორგის სახელზე... ჩემი გიორგის მფარველად... მხოლოდ ის მაფიქრებს, ვინ მოვიწვიო მის ასაგებად... არავინ მეგულვის ხელკეთილი ხუროთმოძღვარი.

სარგისი დაფიქრდა, ერთხანს ასე იყო, მერე თავი ასწია და თვალი გაუსწორა მამას.

— გოგიას ციხეში მეგულვიან ორნი ოსტატნი — სეით და ბულათ... კალატოზნი, ჰაეროვან ჩუქურთმათა მჭრელნი და კამარათა მწერალნი... ყველა სიკეთე ერთად მიუმადლებია მათთვის არსთა გამრიგეს. უფრო კი სეით უქიათ, კლარჯეთსა და ტაოს არაერთი ტაძარი აუგია და მოუხატავს...

— დროს ნულარ დავკარგავთ. შათირი გაგზავნე და აწვიე ორნივე, — ბრძანა ბექამ და ისევ განჯინაში შედო პირველსახე საყდრისა.

ივანემ შემოაღო კარი, ჯერ ძმას შეხედა და მერე მამისკენ წარდგა ნაბიჯი.

— მონღოლნი გეახლნენ, მამავ, დიდებულნი არიან მცირე ამალით, შანშე მხარგრძელი ახლავთ... დაუყოვნებლივ ითხოვენ დარბაზობას.

— უბრძანე, შემოუშვან ციხეში. მთავარი დარბაზისაკენ წაუძეხ. სარგის შეხვდება საპატიო სტუმრებს, მე შეუძლოდა ვარ, — უთხრა ბექამ, წელათრეულმა გაიარა, კართან მივიდა და ვიწრო დერეფნიდან შიდა კიბით მაღლა ავიდა.

კარიბჭის თაღქვეშ უკვე შემოდიოდნენ დაბალ ცხენებზე გადამჯდარი, ტრამალის მზით გარუჯული მხედრები. მათ შორის სამზერთან მომლოდინე ბექამ შანშე მხარგრძელი იცნო და კიდევ მონღოლი ყურუმჩი ალიყანის ძე.

„ნუთუ ისევ ლაშქარი სჭირდებათ? მაშ სხვა რა საქმეზე უნდა იყვნენ მოსული?“ — ფიქრობდა კიბეზე ჩამავალი ბექა.

შალვა შემოეგება, უმრწემესი ვაჟი.

— მონღოლთ ნოინს თან აქვს ყაენის ბეჭედი და ხელმანდილი...

— რას ითხოვს? — სიტყვა აღარ დაამთავრებინა ბექამ.

— უფლისწულს ურდოში იწვევს ყაენი.

ბექა დაფიქრდა.

— ჯერ ათორმეტი წლისაც არ არის უფლისწული... ვაითუ აწყინოს ურდოს მოწამლულმა ჰაერმა. მეგონა, ლაშქარი სჭიროდათ, იმად არ გაველ სადარბაზოდ, ახლა კი არ ეგების ჩემი გამოჩენა. გადაეცი სარგისს, თუ კეთილი პირი უჩანს ყაენის ზრახვას, ჩამოართვას ყურუმჩს პირი სიმტკიცისა და აახლოს უფლისწული, — თქვა ბექამ და ფეხათრეული წავიდა ეზოსმოძღვრის სენაკისაკენ, სადაც ამჯერად ეგულებოდა შვილიშვილი.

ანანია ბერი საკარცხულზე იჯდა, წვერს იჩეჩდა და ისე უსმენდა, თუ როგორ კითხულობდა ყრმა გიორგი საგალობელს.

— წიგნების დრო აღარ არის, მოძღვარო, ძელსა ჰკრეს უჩინარის ხელით საწუთროს სამრეკლოზე, ჟამი უხმობს ყრმა ბაგრატოანს... შეძლებს?

გიორგიმ კითხვა შეწყვიტა. ანანია ბერი წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და სასოებით წარმოთქვა:

— სიბრძნე მარგალიტსა ჰგავს, ჩემო პატრონო, სადაფის ნიჟარაში გამომწყვდეულს, ჟამით ჰპოვებს სისრულესა, ოღონდ ბრწყინვალებაი თვისი ოდითგანვე აქვს... უფრორე კენტად შობილს.

მიხვდა ბექა, დედისერთა რომ იყო გიორგი, ამას გულისხმობდა ანანია ბერი, იმედს აძლევდა ათაბაგს, რომ ყრმაც შეძლებს უფლისწული, მამულს გამოადგესო. ახლოს მივიდა შვილიშვილთან, მხარზე ფრთხილად დაადო ხელი და თვალებში ჩახედა.

— შვილო გიორგი, სამშობლოს უჭირს და შველას ითხოვს შენგან. ყაენს იმედი აქვს, რომ შენი გამეფება დააწყნარებს შიხაშლილობას და ამიტომ გიხმობს ურდოში. წახვალ?

გიორგიმ გაკვირვებით შეხედა პაპას, უცნაური ცეცხლით აუკიაფდა დიდრონი თაფლისფერი თვალები, გადაბმულ წარბებს ქვემოდან გამოხედა ანანია ბერს.

— წავალ... ოღონდ ციაგს წავიყვან და ისე...

— არა, შვილო, შენ მეფე ხარ და იმად გიხმობენ, საქვეყნო საქმესთან ქალებს რა ხელი აქვთ... ციაგი აქ დაგელოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისწული დაფიქრდა.

— არ მეგონა, თუ ასე ადრე მოგიხდებოდა ბრძოლა... სხვა გზა არ არის, უნდა მიიღო ბედის გამოწვევა, — დინჯად ეუბნებოდა პაპა.

— მე მზადა ვარ, შემომარტყით მახვილი! — უკვე მეფურად ბრძანა უფლისწულმა და ამაყად შემართა მხრები.

— მაშინ, გამოეწყე და დარბაზში შედი, მე სხვა კარით შემოვალ, — ბექამ გიორგი წინ გაუშვა და თვითონაც უკან მიჰყვა.

ანანია ბერი არეული ნაბიჯით მიჰყვებოდა უფლისწულის კვალს და ჩუმად ლოცულობდა.

ბექა უკვე დარბაზში იყო და თავის ჩვეულ ადგილას — საათაბაგო მოოქრულ დალიჭზე იჯდა, სტუმრებითა და დიდებულებით გარშემორტყმული, როცა გიორგი გამოჩნდა თალოვან კარში მამამძუძეს თანხლებით. ტერფამდე გრძელი, წელში გაწყობილი სამეფო ტუნიკა ეცვა, ფიგურებიანი აშიით კალთებნაქარგი, მხრებამდე სცემდა ხვიარა თმა.

ათაბაგი პირველი წამოდგა და მას სხვებმაც მიჰბაძეს. გიორგიმ ოდნავ დაუკრა თავი მოდარბაზეთ და პაპის გვერდით გაჩერდა.

— უფლისწული დიდ პატივად თვლის ყაენის მიწვევას და მზად არის ეახლოს, როგორც ერთგული ქვეშევრდომი, — გამოაცხადა ბექამ.

ამის თქმაზე გიორგიმ თვალი მოავლო დარბაზს და შალვას მოსიყვარულე მზერას წააწყდა. იქვე მჯდარ ყურუმჩი ნოინს ელვა უკრთოდა ჩაბეუტულ თვალებში, მეორე მონღოლი კატასავით განაბული ნახევრად იწვა სელზე და მეჩხერ წვერზე ივლებდა ხელს.

დარბაზობა მალე დამთავრდა, სტუმრები პურადღებაზე მიიწვიეს. გიორგიმ დრო იხელთა და ციაგთან გაჩნდა კოშკის ბანზე.

— მართლა მიჰყეხართ მონღოლებს? — შიშნეულად ჰკითხა ციაგმა და ახლოს მივიდა უფლისწულთან, ტანკენარს რძისფერ სახეზე ღიღილოებივით უყვაოდა დიდრონი თვალები.

გიორგიმ თანაგრძნობით შეხედა გოგოს. უკვე სამგზავროდ იყო გამოწყობილი, მაგრამ ჯერ ჯაჭვი არ ეცვა, კაბისამარა იყო, გულისპირმოღეღილი, შუბლზე ჩამოწეწილი წაბლისფერი კულულები ეყარა.

— მე მეფე ვარ, ჩემი წაყვანა არავის შეუძლია, მე თვითონ მივდივარ.

— მეც წამიყვან?

— ურდო შორსაა, იქ ქალები არ დადიან.

— როგორ არ დადიან! შენც მარტოს წაგიყვანენ ვახტანგ მეფესავით და მერე იქიდან თათრის ქალს გამოგაყოლებენ, — თვალები დაუნაღვლიანდა ციაგს.

— არ წამოვიყვან, — ჯიუტად თქვა გიორგიმ.

— ყაენი გიბრძანებს და ძალით წამოგაყვანინებს, — ციაგი გულდაწყვეტილი შეჰყურებდა მის წინ მდგარ შეცბუნებულ ბიჭს.

— არ წამოვიყვან, — ისევ გაიმეორა და ხანჯლის ვადაზე დაიდო ხელი. ქვემოდან უკვე ეძახდნენ მხედრები ერთურთს. ხმალი მოართვეს უფლისწულს. ყაწიმით გადაიკიდა ნარინჯისფერ კაბაზე, ვადა მოსწია და ისევ ჩაგო. დედისკენ გაუქანდა გული, მაგრამ იმავ წუთს ბექა ათაბაგის ცივ მზერას წააწყდა. სკასავით ფუსფუსებდა იშხნის ციხე, მრისხანე ასპარაშენი. დაბლა, ეზოში დარახტული ცხენები ელოდნენ მხედრებს. მერე ყაენისათვის მისართმევი საჩუქრებით დატვირთული ჯორებიც გამოჩნდნენ და სევდისმოგვრელად აყღარუნდნენ ზანზალაკები.

დედა...

იშხნის ციხეში ცალკე ნაგებ გლოვის კარავში იჯდა ახლა ათაბაგის ერთადერთი ასული ნათელა და ძაძით მოსილი მისტიროდა დაკარგულ სიყვარულს... მონღოლთა ლახვრით გულგანგმირული მეფე დიმიტრი თავდადებული მცხეთას განისვენებდა. ჯერ მისი საფლავის მონახულებას და მერე ვანის ქვაბში გამგზავრებას აპირებდა ნათელა, მონაზვნად აღკვეცა ჰქონდა ფიქრად, მაგრამ მამამ არ გაუშვა...

გიორგი უკვე ცხენზე იჯდა. ციაგმა სწრაფად ჩამოირბინა ქვის ვიწრო კიბე, შალვა დაინახა და მისკენ გაექანა.

— შალვა ძია, უბრძანე, მეც მომგვარონ ჩემი შუბლთეთრა.

— თან წაჰყვე გინდა? — შალვამ ყურადღებით შეათვალიერა გოგონას ნაღვლიანი სახე.

— არა... უნდა გავაცილო, — თავი დაღუნა გოგომ და გული ამოუდუღდა.

აბჯარასხმულ გიორგის ქვეშ ტოკავდა თეთრონი, შმაგ დავლურს უვლიდა, მერე სადავე მიუშვა მხედარმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

და გალავნის კარიბჭესაკენ გააქროლა. უკან სარგისი და ივანე მიჰყვნენ, მერე მამამძუძე გაეკიდა ყორნისფერი ულაყით და ბოლოს შალვა და ციაგი გავიდნენ ციხიდან.

მონღოლები დასაპალნებულ ჯორებთან ტრიალებდნენ. როდის-როდის აიძრნენ. მათ შორის ყურუმჩი და შანშე აღარ ჩანდნენ, ისინი ადრევე წასულიყვნენ ასპარაშენიდან.

ბექა შვილიშვილის გზას გაჰყურებდა, ბანზე უძრავად მდგარი, ჭაღარა ნიკაპზე ფიქრიანად ისვამდა ხელს.

კიდევ ერთი ადამიანი იდგა ციხის კედელში დაყოლებულ მცირე ნიშთან...

ძაძით მოსილი, საბნელოდან პირველად გამოსული სამზეოზე... ეს ნათელა იყო, ბექა ციხისჯვარელის პირმშვენიერი ასული, რომელიც თვალცრემლიანი გასცქეროდა იმ საბედისწერო გზაზე მიმავალ პირმშოს, რომელმაც დაღუპა მისი სიყვარული.

— აქ მეორე თავი იწყება, თქვა ნესტანმა და თვალი მოავლო ამხანაგებს. სახეწამონთებულს ოფლი უბზინავდა პირის კუთხეებთან.

— ნესა, რა ჰქვია შემდეგ თავს? — იკითხა მარატმა.

— „ძვრანი“, — უპასუხა ნესტანმა.

— უჰ, გააჭირეს საქმე ამ ძვრებმა, — რატი კარისაკენ გაემართა.

— შენ წასაკითხად გეზარება, ჩვენს წინაპრებს კი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ყოველი ძვრა საქართველოს ცხოვრებაში, — შუქიას ხმა უთრთოდა.

რატიმ გაცლა ამჯობინა, კაბინეტიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— ბუფეტში წავიდა, — გაეცინა შუქიას, — პირისპატივის კაცია, გაისიკნება და მოვა.

— ექსპედიციაში კი მაინც მიყვარს მაგის წამოსვლა. ხალისიანია, არ მოგაწყენს, — გამოექომაგა ნესტანი.

— მერე კიდევ, ჯორივით ამტანია, მთელს ბარგს მაგას აჰკიდებ ხოლმე, — მოძიძგილავე მამალივით კისერი წაიგრძელა მარატმა.

ნესტანმა ცხვირი აიფხლიკა, აქაოდა პასუხის გაცემასაც არ ვკადრულობო.

ბედუკა დაფიქრებული იჯდა იმავე ადგილას, მერე წამოდგა, წვიმით დაჩოფურებულ სარკმელთან მივიდა, გამოაღო და გარეთ დაიწყო ცქერა.

ქარით დაძენძილი ქუფრი ღრუბლები დაეხეტებოდნენ ცაზე, არავინ უწყოდა, საიდან მოდიოდნენ ან სად მიდიოდნენ. ალბათ ასე უწყვეტ ლაშქრად მოედინებოდნენ უკიდეგანო ტრამალების სიღრმეებიდან აძრული მონღოლები და მოჰქონდათ შხამიანი ისრების წვიმა, სიკვდილს თესავდნენ ლაპლაპა ხმლებით, ხოლო ცოცხლად გადარჩენილთათვის მონობის მძიმე უღელი მოჰქონდათ...

გვერდით რუსიკო ამოუდგა — ფანჯარაში მისი ანარეკლი დაინახა ბედუკამ, მაგრამ არ განძრეულა.

— არ გეცოდება უფლისწული? — ჰკითხა ბედუკამ ანარეკლს.

— მე უფრო ციაგი მებრალება, — უპასუხა ანარეკლმა.

— ნეტა მოსულიყო მაინც ვახტანგ მასწავლებელი... უკეთ გავერკვეოდით.

— რაღას ვუცდით, განვაგრძოთ კითხვა, — გამოსძახა შუქიამ და მათკენ წამოვიდა.

— სულ ერთია, სანამ ამას არ მოვრჩებით, ვერც ერთ გაკვეთილს გულს ვერ დავუდებ. ჯობია წავიკითხოთ, — ნესტანს ხელნაწერი აეღო და გულზე მიეხუტებინა.

— წავიკითხოთ და მერე თორნიკეს მივცეთ, იცით, როგორ დაასურათებს! — მარატმა ხელნაწერი გამოართვა ნესტანს და ფრთხილად გადაფურცლა.

ძვრანი

სამი მეფე ჰყავდა ქართლს, დავითს ეპყრა მთიანეთი, ყრმა გიორგის — ტფილისი, ხოლო ვახტანგს — შუა ქართლის ვაკე.

ყოველივე ამას შორით ჭვრეტდა სამცხის ათაბაგი ბექა ციხისჯვარელი; ხედავდა, როგორ მოატყუეს მონღოლთ გიორგი, მაგრამ ძალა არ შესწევდა რამე შეეცვალა. სწორედ ამიტომ გამალებით განაგრძობდა იისციხის შენებას და დაწყებიდან წელსა მეოთხესა განასრულა იგი.

დედუფალი სითიხათუნი ასულთან ერთად დაემკვიდრა იისციხეში. ბექასი და ვახახის ზრუნვით გალაღდა ერისთავთ-ერისთავის შოშიტას სამკვიდრო, გალავანი გაივსო სახლეულით. ათაბაგმა თავისი ერთგული მეციხოვნენი მიუჩინა მცველად მომავალი საუფლისწულოს ზღუდეებს... და ციაგ, იისციხისა პატრონი, იყო შობიდგან ათორმეტისა წლისა.

მეფედ მჯდომი ტფილისს გიორგი არ შეეგუა დამცრობილ ბედს თვისას და ურდოს მიმავალი ეწვია თავის დიდ პაპას ბექას...

ია-ყვავილა

თენდებოდა.

რიჟრაჟის მიმქრალი ფერებით ჰყვაოდა ფოთლებზე ასხმული ნამი.

თაღოვან ხიდთან, როგორც ბეჭდის ბუდეში ჩასმული ფირუზი, კამკამებდა კლდოვან ფოსოში მოტრიალე წყალი.

სეითმა პეშვით ამოიღო წყალი, ოფლიან სახეზე შეისხა, წელში გასწორდა და ფრიალო კლდის თავზე ასვეტილ იისციხეს გაუსწორა თვალი.

ჯერ ისევ უმზეო ცის ქვეშ იისფერი ყვავილივით ენთო ზედა ციხის გული ხეობის ერთიან სიმწვანეში.

იისფერი პოროფირით ნაგები, ნაზი ცაფერით მოყვავილე ნათელი ტაძარი და მის გვერდით შტოსავით აღერილი სამრეკლო.

ოსტატს ტანმორჩილად დაეტოვებინა ზედა ციხის კედლები და გოდოლები, რათა რაც შეიძლება მეტი ღია სივრცე მიეღო ტაძარს. გალავნის მაღალ კედლებში კი მრავლად იყო ჩაშენებული დაკუთხული კოშკები, მოლურჯო ფიქალით გადახურულნი თრაშული ალმასებივით ბრწყინავდნენ ნამში გავლებული თხემებით.... მაგრამ ტაძრის გარდა ვერაფერს ამჩნევდა ხიდთან მდგარი ჭაბუკი.

„შენ გენაცვალე!“ — აღმოხდა ლოცვასავით, მუხლი მოიყარა ამ ნათელი ხილვის წინაშე, პირჯვარი გადაისახა და თვალთა უპეებიდან დაცურებული უნებლიე ცრემლი მტევანწაცლილი მარჯვენა ტაკვით მოიწმინდა.

„შენ გენაცვალე, სულისდგმაო ჩემო, ფიქრო ანთებულო არსობის მარადიული შუქით, შორს საუკუნეებში მიმავალო სულისა და ხორცის ნაწილო ჩემო... მითხარ, კიდევ რა გაგატანო, რა შემოგწირო... მისხალ-მისხალ ჩამიკირავს შენში ხუთწელიწდეული ჯაფა ჩემი სხეულისა, ალალად ჩამიქსოვია შენს კედელ-თაღებში ჩემთვის ღვთით მომადლებული ქვათა დუღაბად შეკვრისა და ცად ატანის თილისმა... აღმივლენია ვითარცა ლოცვა და დამიტოვებია შენი კედლების შუქოვან ღიობებზე ყვავილის მტვერივით სათუთი ჩუქურთმა — ჩემი თითების ნაფიქრი... და მთელი ჩემი სიცოცხლის აზრი...

უკანასკნელად მოველ შენთან, რომ გამოგეთხოვო, ჩემო აცხადებულო სიზმარეთო, ჩემი სულის გაუთავებელო სიმღერავ, გუმბათისა და თაღების ექოთი ნათქვამო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყმემ თვალები დახუჭა, სცადა დაებრუნებინა იისციხის გუშინდელი დღე...

ხარაჩოებით შებორკილ გალავნის მაღალ კედლებს ჭიანჭველებივით ეხვევნენ მშენებლები, ქვითა და კირით ხუროები, ოსტატები. უკვე ცას ხევდა სიმაღლით განაპირა კოშკი, მას დანარჩენებიც თანდათან უტოლდებოდნენ. მოჰქონდათ მეკირეებს ნარეცხი სილა ჩქერულას ხეობიდან, ღერძკალებითა და მარხილებით მოათრევდნენ ძელქვებსა და ლოდებს. დაბლა, წყლის პირას ქართლიდან მოსული ყმანი ტაძრის გარესაპერანგე იისფერ ფილებს ხეხავდნენ. ზემოდან, ყაშად დახეთქილი ფრიალოებიდან გადასახურავ მოლურჯო ფიქალს ეზიდებოდნენ აზავერები.

ცადატანილი ხარაჩოებიდან ისმოდა ყიჟინა და მოქუხდა სიმღერები. მოძახილს ექოდ იმეორებდნენ მთები...

ვერხოვანს წვრილო ციხეო, ქვაო, ვინ გაწყო ქვაზედა, შვიდთა სართულად აგაგეს, სიპი დაგხურეს თავზედა.

ბულათი არ ჰყავდა გვერდით, სეითმა მარტომ აშენა ია-ყვავილას შუქიანი ტაძარი, მარტომ გაალაღა ფიქრი ჩუქურთმებში. ბულათი კლარჯეთში იყო. ოთხმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც ძმებმა უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი. სეითმა ტაძრის გასრულების შემდეგ დააპირა გოგიას ციხეს წასვლა და დედის მონახულება, მაგრამ კამარათა და კედელთა მოხატვა მიანდეს მასვე.

გულმოწყალე იყო დედუფალი სითიხათუნი და ამასთან გულთამხილავი, მიხვდა დიდოსტატის საიდუმლოს და შეჰპირდა, ცოლად მიეთხოვებინა სეფექალი თვისი — თამი თუხარელი, ციაგთან ერთად რომ იზრდებოდა იისციხეში. თურქთა ტყვეობიდან გამოესყიდა იგი გიორგი უფლისწულის დიდ დედას ვახახს, სითიხათუნი კი დედის მაგიერობას უწევდა ობოლს.

სახიერი და სათნო ბუნების გოგო იყო თამი თუხარელი, პირთხელი, მაღალი და შავთმიანი. კდემით მოროინინეს და გრძელკაბიანს გადაწყვეტამდე წვრილი მოუჩანდა ფერადი სირიფით გადასკვნილი წელი.

თამი ეყოლებოდა სეითს ცოლად, თუ სანაქებოდ განასრულებდა კამარათა წერას.

მას შემდეგ, რაც ტაძარი მთლიანად შეიმოსა იისფერი ქვის გარეპერანგით და გუმბათის სახურავსაც პორფირისავე ნათალი ფიქალი შეეკინძა, პატრონთან ერთად ხშირად მოდიოდა ია-ყვავილას სანახავად თამი. დროს იპოვიდა, მორცხვად გაუღიმებდა ჭაბუკ ოსტატს და ლაღი ფიქრით მეშვიდე ცამდე აჰყავდა კამარათა მწერალი...

აბა რას იფიქრებდა სეითი, რომ მის ნათელ ოცნებებს ახდენა არ ეწერა...

ნაშუადღევს მაცნე მოვიდა იისციხეს, ურიცხვი ლაშქრით ჩქერულას ხეობისაკენ მოიწევსო მონღოლთა ნოინის ნათესავი ანგურგ. წამიერად ხარაჩოებიდან გაიკრიფნენ მშენებლები და იარაღი აისხეს. ციხისთავმა ლაშქარს უხმო და ასპარაშენს აფრინა შათირი. ხმალი შეიბა სეითმაც.

მონღოლთა ლაშქარი კი უკვე შემოდიოდა ხეობაში და გარს ეწყობოდა ციხეს. გამაგრებულ კარიბჭეს რაკი ვერა დააკლეს რა, დაბალ ზღუდეს დაუწყეს ძებნა... მოისართ ხმალზე მიუდგათ ჯერი...

ზედა ციხიდან თავისიანებს ჩამოეშველნენ ყმანი... გარღვეულ კედელთან გამდგარ სეითს შორით ნასროლი ბუნმოკლე ლახვარი ქეშად მოხვდა ყვრიმალში და დატორტმანებულს მომხვდურის მახვილმა მაჯაში წასწყვიტა ხმლიანი მარჯვენა...

სწორედ ამ დროს ატყდა ხეობაში სამცხიდან მომავალი ლაშქრის ყივილი და ჩობან ნოინის ხელმანდილი მოიტანა ციხეში წინამსრბოლმა...

ბრძოლა შეწყდა, მონღოლნი განერიდნენ ციხეს, დაწყნარდა იისციხის სახლეულიც, თუმცაღა ხუროთა ახალგაზრდა მოძღვარი აღარსად ჩანდა...

კედლიდან გადაქცეულმა სეითმა ფორთხვით მიაღწია

ციხის მახლობელ ქვაბამდე და იქაურ მწირს შეეკედლა...

სხეულმა მალე შეიხორცა იარა, სულმა კი ვერა. ვიღას სჩვენებოდა სახენაჩეხი და მარჯვენაწაცლილი?.. ვიღას დასჭირდებოდა ამქვეყნად უხელოდ დარჩენილი ოსტატი?.. სად იყო ნეტა, სად ეგდო ახლა ის... მისი მარჯვენა ხელი?..

იისციხეში ისევ ელოდნენ უკვალოდ გამქრალი ოსტატის გამოჩენას. ელოდა ია-ყვავილა, თვალები გზისკენ აწყდებოდა თამის.

სეითმა გადაწყვიტა, სამუდამოდ გასცლოდა აქაურობას, ქართლიდან წამოსულ ლტოლვილებს აუძღვა და ფეხით წავიდა სამცხეს...

ბულათი უკვე დაბრუნებულიყო კლარჯეთიდან. გოგიას ციხეში მიბრუნებული სეითი ვერც დედამ იცნო და ვერც ძმამ. ჩინდაშრეტილი მოხუცი დედისაგან არ სწყენია, ძმისაგან ეწყინა. სწორედ ამან აფიქრებინა, ძმისათვის შეეევედრებინა ია-ყვავილას ტაძარი ისე, რომ თავისი ვინაობა არ გაემხილა. ცალკე გაიხმო და სხვისად გაანდო თავისი გულის დარდი...

— ძმა გყოლია ტყუპისცალი, რომ გიყურებ, ის მგონიხარ... აცხონოს ღმერთმა... მისი ანდერძი მოგიტანე.

— როგორ, განა ცოცხალი აღარ არის?

— ცოტანი ვიყავით. აბა რას გავხდებოდით მარბიელ ლაშქართან... მძიმედ დაკოდილმა მხოლოდ ის მოასწრო, რომ დამაბარა თავის ტყუპისცალ ძმასთან, მიმიხედოსო ია-ყვავილას ტაძარს... ჩემი სახელით დაბრუნდეს იისციხეში და კამარათა წერა განასრულოსო. გევედრებოდა, გუმბათის ცაზე მხოლოდ ერთი სადაფისფერი ღრუბელიღა დამრჩაო მისახატი.

ბულათი ეჭვით შეპყრობილი უსმენდა ბერის კუნკულში გამოწყობილ, ხანგრძლივი მარხულობით ძვალტყავად ქცეულ წვერმოშვებულ მეუდაბნოეს, ხიხინითა და ჩურჩულით რომ უყვებოდა შემზარავ ამბავს... რაღაცით ეცნობოდა, მაგრამ რით ან საიდან, ამას ვერ მიმხვდარიყო...

სეითი გამობრუნდა და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს, განდეგილად ბინადრობდა მიუვალ მთებში...

●

სეითმა ღრმად ამოიოხრა, სველი ხელი კაბის კალთაზე შეიხოცა და ისევ შეხედა იისციხეს...

მას შემდეგ წელიწადი იყო გასული... ნისლიანი შემოდგომა, ზვავებიანი მკაცრი ზამთარი უსინჯავდნენ ფხას ცადასულ კედლებს და მერე გაზაფხულის შხაპუნა წვიმებმა კიდევ ერთხელ გასინჯეს ოსტატის ხელი კომკების და ტაძრის გადახურვაში.

აი ახლა ზაფხულიც მიიწურა და ენკენობა დგას, ტაძრის სატფურების ჟამი. სატფურება ხომ დღესასწაულია ტაძრისა, წლითი წლად მისი მოსახსენებელი.

მთები მოიარა ამბავმა, იისციხეს გიორგი მეფე სწვევია და ია-ყვავილასათვის ღვთისმშობლის დიდი კარედი ხატი მიურთმევიაო. იმ ხატის შეხედვა სწყუროდა სეითს, უნდოდა ენახა, როგორ დაშვენდებოდა ცაგადახატულ საყდარს მეფური საჩუქარი...

ციხის კარიბჭეში არავინ შეუშვებდა უცხოს. ხალთაში დამალული კონკი ამოიღო, გადაიცვა და ციხის მისადგომებთან მდგარ გლახაკთა ბრბოში გაერია.

გალავანში ტევა არ იყო, ლამაზად ეცვა ციხის სახლეულს, უფრო კი ციაგ შვენოდა, მეფის გვერდით მდგარი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ია-ფუფუგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

უფროსი პიონერხელმძღვანელი მანანა ბალავაძე სკოლისაკენ მიგვიძღვის. ქუჩაში, სკოლის ეზოსა თუ დერეფანში ნორჩებს მის დანახვაზე თვალები უბრწყინდებათ, უხარიათ ხელმძღვანელთან შეხვედრა, უყვართ იგი.

სკოლის კიბე ავიარეთ და ჰოლში შევედით. ვრცელი ჰოლი თვალს ახარებს საზეიმო იერით, პლაკატებით, გამოჩენილ ადამიანთა სურათებითა და კედლის გაზეთებით.

ამ ჰოლში აწყობენ რაზმეულის საზეიმო შეკრებებს, პიონერულ ხაზს, მასობრივ თამაშობებს, აქ ატარებენ გაკვეთილიდან გაკვეთილამდე შესვენების დროს. ჰოლიდან ზემო სართულში, პიონერთა ოთახში ავედით, იგი ძალზე პატარა აღმოჩნდა, მაგრამ პატარა ოთახშიც შეიძლება საქმის გაკეთება, როცა საამისო სურვილი აქვთ...

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ნაზი რაზმაძე და პიონერული აქტივი გაგვაცნო უფროსმა პიონერხელმძღვანელმა. პიონერთა ოთახში მოვიდნენ აგრეთვე სკოლის დირექტორი ანატოლ ჯიოშვილი და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი მერი ჯოჯიშვილი.

საუბარი პიონერული რაზმეულის საქმიანობას შეეხო. რკინიგზის ხაშურის მე-4 საშუალო სკოლის პიონერულ რაზმეულში დროულად გაეცნენ პიონერთა VII საკავშირო შეკრების მასალებს. ამ თემაზე ყველა რაზმმა მოაწყო შეკრება, სვლაგეზების მიხედვით აიღო ვალდებულებები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილმა ამ ახალმა პიონერულმა მოძრაობამ, რომლის დევიზია „მივდივართ

ლენინის გზით, ოქტომბრის გზით", სკოლაში განსაკუთრებული გამოცოცხლება გამოიწვია. რაზმეულის საბჭოს წევრებთან და პიონერებთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ნორჩები მთელი მონდომებით ემზადებიან დიადი თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. ათი პიონერული რაზმი და ოქტომბრელთა ექვსი ჯგუფი თავს არ ზოგავს შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

წინა მარშებმა განსაზღვრეს სვლაგეზები და პიონერული საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი. იგივე მოთხოვნებია ახალ სვლაგეზებშიც, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი ოქტომბრის თემას უჭირავს. მე-4 სკოლის პიონერული რაზმეული ჩაბმულია დაუსწრებელ მოგზაურობაში „რევოლუციის ექსპრესით", წითელი კვალმაძიებლები შეისწავლიან რაიონის რევოლუციონერთა ცხოვრება-მოღვაწეობას, რევოლუციურ-ისტორიულ ადგილებს. ამ თემაზე ადგენენ საგანგებო ალბომებს.

პიონერთა ოთახში გოგონათა ჯგუფი შემოვიდა. ხელში სათლები ეჭირათ, სამუშაო ტანსაცმელი ეცვათ, თმა გასწეწოდათ, ლოყები დასწითლებოდათ. ყანის სურნელი შემოიტანეს თან. დაღლილები ჩანდნენ, მაგრამ კმაყოფილებაც ეხატათ სახეზე. სამუშაოდან მანქანით პირდაპირ სკოლაში მოვიდნენ. პიონერთა ოთახში პედაგოგები და უცხო პირები რომ დახვდათ, დაირცხვინეს, უხერხულად იშმუშნებოდნენ. სათლები კუთხეში დადგეს, რიდით მიუახლოვდნენ მაგიდას. იმდენ გოგონაში მხოლოდ ერთი ბიჭი ერია, ალბათ ამის გამო ყველაზე მორცხვად და გაუბედავად ის გამოიყურებოდა.

— საბჭოთა მეურნეობას ეხმარებოდნენ მოსავლის აღებაში, — გვითხრა მათზე მანანა ბალავაძემ და მერე ერთ-ერთ გოგონას მიმართა:

— ხათუნა, გვიამბე, რას აკეთებდით დღეს.

— ოცდახუთი მოსწავლე ვეწვიეთ ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის სოფელ ტეზრის აგროუბანს, 200 კილოგრამამდე სიმინდის ტარო მოვტეხეთ და გავარჩიეთ.

როგორც ხათუნამ გვიამბო, სახალისო ყოფილა ერთად შრომა, პიონერებს უხაროდათ, რომ სასარგებლო საქმე გაკეთეს, უფროსებს დაეხმარნენ, თავიანთი წვლილი შეიტანეს სახალხო დოვლათის აღებაში, ჭირნახულის დაბინავებაში.

მეშვიდეკლასელი პიონერები ოქტომბრელებთანაც მეგობრობენ — მესამეკლასელებს შეფობენ. ხათუნა ხონელიძე, ზურაბ ჯიოშვილი, ნანა სულაბერიძე, მზია გიგაური და ია ორჯონიკიძე III² კლასის ოქტომბრელთა ჯგუფის — „იას" ვარსკვლავების ხელმძღვანელები ყოფილან. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და გადავწყვიტეთ შეგვეტყო, თუ რა კეთდებოდა რაზმეულში იმ სვლაგეზის მიხედვით, რომელსაც „ვარსკვლავი" ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამეკლასელმა მარინე თურქაძემ სანიმუშო სწავლისა და ყოფაქცევისათვის გარდამავალი ალამი მოიპოვა.

გვითხრეს, რომ ჯერ კიდევ 31 აგვისტოს შეიკრიბა რაზმეულის საბჭო და

სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრი, პიონერული სექტორის ხელმძღვანელი თამილა სეხნიაშვილი (ცენტრში) ოქტომბრელებს ესაუბრება ხაშურის რაიონის ძველი რევოლუციონერების ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

მეცადინეობა დაიწყო ხარაზიშვილის ბაღლიდაგალი ალაბიით დაიფარებინა მერაბი.

სხვა საკითხებთან ერთად ოქტომბრელთა ჯგუფებისადმი შეფობის საკითხიც განიხილა, ოქტომბრელებთან მეგობრობის საბჭო შექმნა, მისი სამუშაო გეგმა და ვარსკვლავების ხელმძღვანელები დაამტკიცა.

ოქტომბრელებთან მეგობრობის საბჭოს შემადგენლობაში ცხრა პიონერი შეკიდა: ლეილა ჭიპაშვილი, მაია ამირეგულაშვილი, ზურაბ ჯიიშვილი, ლაღი გოგიტაური, თინა ცუცქირიძე, მაია ახალაკაცი, ია კულიჯანოვა, ნესტან ჩიქოვანი, ნანა ლომუაშვილი.

სამ ოქტომბერს რაზმეულში ზეიმი მოეწყო. VII-VIII კლასების პიონერებმა შეკრებაზე პირველკლასელები მიიწვიეს, ერთად იმღერეს, იეცეკვეს, ლექსები თქვეს, პატარები გაახარეს. მაგრამ ყველაზე სამახსოვრო პირველკლასელებისთვის ის იყო, რომ ამ დღეს ისინი ოქტომბრელები გახდნენ.

ოქტომბრელისა თუ პიონერის უპირველესი მოვალეობა სწავლაა. ზოგს თავისი ნამდვილი საქმე აკიაქდება, თამამი იტაცებს ან სიზარმაცე სძლევს და ჩამორჩება ხოლმე, მაგრამ შეფები ფხიზლად ადევნებენ თვალს ოქტომბრელთა აკადემიურ წარმატებას. ვარსკვლავის ხელმძღვანელები ჩამორჩენილებს თვითონ ეხმარებიან.

ტარიელ ღამბაროვი ავადმყოფობის გამო სკოლაში არ დადიოდა. ვარსკვლავის ხელმძღვანელი ზურაბ ჯიიშვილი, ოქტომბრელები ირმა მერკვლიშვილი და ზაზა ამირეგულაშვილი მუდამ დღე აკითხავდნენ ტარიელს, ახალ გაკვეთილებს აცნობდნენ, ეხმარებოდნენ არითმეტიკის, ქართული და რუსული ენების ათვისებაში.

ოქტომბრელთა ჯგუფმა „ია“ მასწავლებელ ნანა ნამგალაურის დახმარებით ოქტომბერშივე გამართა ვიქტორინა-შეჯიბრება მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ბუნებისმცოდნეობაში.

ვარსკვლავის ხელმძღვანელები ყოველ კვირას მართავენ „წიგნის დღეს“. წიგნების გამოფენა ეწყობა კლასში. ოქტომბრელები ათვალიერებენ ჟურნალების „დილისა“ და „ბერწილაის“ ახალ ნომრებს, ეცნობიან წაკითხვა წიგნებს. სასკოლო ბიბლიოთეკის წევრია ყველა ოქტომბრელი, მათ კვირაში ერთი წიგნის წაკითხვა ევალებათ, შემდეგ შთაბეჭდილებები უნდა გაუზიარონ მასწავლებელს, თანაკლასს. ნორჩები ბიბლიოთეკაში წიგნების შესაკეთებლადაც დადიან. შრომის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. თავიანთ მხრივ, ოქტომბრელები სამავშო ბაღის აღსარდელებს შეფობენ. მესამეკლასელებმა პაატა მელქაძე, ლაღი პაპუაშვილმა, ლიანა ცუცქირიძემ შეაკეთეს ქარაული ხალხური ზღაპრების წიგნი, ლეგენდების კრებული „ალნეული“, შეგროვეს ზმაკერული ლიტერატურა დ. ერეკლეიზის 96-ე ბაგა-ბაღის აღსარდელებს გადასცეს, ხოლო ირმა მერკვლიშვილმა, ზაზა ამირეგულაშვილმა და სხვებმა თვითნაკეთი სათამაშოები აჩუქეს პატარებს.

კიდევ ერთი მოწყობილი ზეიმი გაიხსენეს პიონერებმა. მეგობრობის საბჭოს წევრებს დიდი დამსახურება გაუწევიათ „დედა ენის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ოქტომბრელთა ზეიმის მოსაზადებლად. მესამეკლასელებს უსაუბრიათ დიდი პედაგოგისა და მწერლის ი. გოგებაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. პირველ და მეორეკლასელებს ი. გოგებაშვილის ნაწარმოებისა მიხედვით წარმოუდგენიათ ინსცენირებები, ხოლო შეფებს — პიონერებს ნორჩებისათვის დაუდგამთ თოჯინების თეატრის სპექტაკლი „იაკანამ რა ჰქნა?!“.

ოქტომბრელებთან მეგობრობის, ნორჩებისადმი პიონერთა ზრუნვის მრავალი სანტრფესო მაგალითის დასახელება შეუძლიათ მეგობრობის საბჭოს თავმჯდომარეს ლელა ჭიპაშვილს, მაგრამ უმჯობესია თვით ვარსკვლავების ხელმძღვანელებს მოვუსმინოთ.

მაია ამირეგულაშვილი, მესამე კლასის ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი: — რვაოლუციის დიდი მეგალდის ლოდიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად ყოველი წლის თქვამეტიდან ოცდაორ აპრილამდე ეწყობა ოქტომბრელთა კვირეული: „წიგნის დღე“, „შრომის დღე“, „თამამობათა დღე“, „ჯოხებამაცალითა დღე“, „ჯანმრთელობის დღე“. „შრომის დღე“ ლენინურ შაბათობას დაემთხვა. იმ დღეს ბოლოს რაზმეულნა იმარჯვა — 44 ტონა ლითონის ნამსხვრევი შეაროვა. ამაში ოქტომბრელთა წვლილიც ერია. ოქტომბრელ მაშაკა ამაიაქუნ მეზობლები ხუმრობდნენ, არც ერთი გრამი ლითონი არ შეგვარჩინა, დღეში სამჯერ მოდიოდა, სულ დაგვისუფთავა კეთილ-კუნტელებიო. ასევე უფიქლიათ ოქტომბრელებს ტარიელ დამბარო

საბძელი

მოთხრობა

ნინო ბეზარაშვილი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ქალი ძველი სახლის წინ, ეზოში იდგა, აქეთ-იქით იყურებოდა. სულ სხვანაირი ეჩვენებოდა იქაურობა. წინათ იმ პატარა უბანში ღობე არსად იყო, არც ყორე, არც გალავანი და არც მესერი. ახლა კი ყველა ეზო შემოეღობათ. წინათ აქ ლამაზი აივნები ჰქონდა სახლებს, ახლა აღარ ჩანდა სვეტებშუა ჩატანებული ჩუქურთმებიანი არშიები. მოეძროთ და აივნებზე შუშაბანდები გაეკეთებინათ. ყველაფერი სხვანაირი იყო, სულ სხვანაირი, მაგრამ ეზოებში ჩამომდგარ ძველებურ სიჩუმესა და იდუმალებას მაინც გრძნობდა ქალი.

ქალი ეზოდან ორღობეში გავიდა. იქაც სიჩუმე იყო. ხეები, ბუჩქები და ბალახები თითქოს განაბულიყვნენ. ასე იცოდა წინათაც, ხანდახან გაირინდებოდა ხოლმე ყველაფერი.

ესიამოვნებოდა ქალს ეს სიჩუმე, რაღაც თბილსა და ახლობელს აგონებდა. მაგრამ უცბად კაკ, კუკ, — მოისმა საიდანღაც.

„კაკ, კუკ", — ...გამეორდა.

ქალს ძალიან უნდოდა გაეგო, სად აკაკუნებდნენ. ორღობის თავში სახლი იდგა. სახლს წინ ვაკე ეზო ჰქონდა, უკან — ფერდა. ეს ხმა თითქოს იქიდან მოდიოდა. ქალმა ბილიკი გადაჭრა და ფერდას გახედა. ჩავაკებულში პატარა, ფიცრული საბძელი იდგა. თუნუქის წითელი სახურავი ეხურა და ხეებში იყო შეყუჟული. წინათ საბძელი თეთრად მოჩანდა სიმწვანიდან, ახლა რუხი-ნაცრისფერი დასდებოდა, სახურავიც გახუნებოდა, მზე-წვიმას თავისი კვალი დაემჩნია.

„კაკ, კუკ", — კიდევ გაისმა. ფერდაში სამი კაცი დაინახა ქალმა, ისინი საბძელს ფიცრებს აძრობდნენ.

ქალი უყურებდა საბძელს და არ იცოდა, უხაროდა მისი დანახვა თუ ეცოდებოდა, რომ ანგრევდნენ. გული კი რაღაცნაირად უჩოჩქოლებდა, ათასი რამ ახსენდებოდა.

პატარობაში იმ საბძელს ხანდახან ზღაპრად გაგონილ, განმარტოებულად მდგარ, საიდუმლოებით თუ რაღაც საშიშროებით სავსე ჯადოქრის ქოხს ამსგავსებდა, მაგრამ ბავშვური გუმანით მაინც ხვდებოდა, რომ ის საბძელი პატარებისათვის გამოსადეგი უნდა ყოფილიყო. თუმცა ვერ იტყოდა, რაში გამოდგებოდა, ამისთვის ახლოს უნდა მისულიყო, შიგაც შეეხედა და მაშინ უფრო ადვილად მიხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ საბძელთან მისვლა არც ისე ადვილი იყო. ათასნაირი ბალახით დაფარულ ფერდას ჭინჭარი მორეოდა. მაინც არ შეუშინდა, ჯერ ერთი ფეხით გადათელა რამდენიმე ძირი ბალახი, მერე მეორეთი და ასე ცოტ-ცოტაობით ჩააბილიკა.

კარი რკინის რაზით იყო გადაკეტილი. მაგრამ, ეტყობოდა, მისი გაღებადახურვით არავინ იწუხებდა თავს. რაზა მთლად დაჟანგებულიყო. ამოსწია ერთხელ, ადგილიდან ვერ დაიძრა. ამოსწია მეორედ, ვერც ახლა გააგებინა რამე. მერე ორივე ხელით დაეჯაჯგურა და, როგორც იქნა, ამოაგდო რაზა კოჭებიდან.

პაწაწინა ხელები მთლად დაუჭანგიანდა, თითიც ხეჭოიან ფიცარზე გაქლირტა. მაგრამ გოგონამ არაფრად ჩააგდო, ხელები ბალახზე გაიწმინდა და საბძელში შევიდა. შიგ მზეზე აფიცხებული ფიცრის სუნი იდგა. კუთხეებში დიდრონი, სქელი აბლაბუდა იყო გაბმული და ზედ ცოტ-ცოტა ბზე ეყარა. ალბათ ქარმა გადმოყარა მაღლითა კოჭებიდან. ბზე დაბლა, მიწის იატაკზეც ეყარა. ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა გოგონას, რომ ეს ჯადოქრის ქოხი კი არა, ჩვეულებრივი საბძელი იყო, რომლის პატრონსაც აღარც ცხენი ჰყავდა, აღარც სახედარი და ამიტომ არც სჭირდებოდა.

გოგონამ შეათვალიერა თუ არა იქაურობა, იმწუთშივე მიხვდა, რომ აქ სკოლობანას თამაში იქნებოდა კარგი.

„მერხებად — აგურებზე გადებული ფიცრები, მაგიდად — ყუთი ან ტაბურეტი, დაფად — ოთხკუთხა ფირფიცარი თუ ვიშოვე ხომ კარგია, თუ არადა, საბძლის კედლებიც მშვენივრად გამოდგება". ამის გაფიქრება და საბძლიდან გარეთ გამოვარდნა ერთი იყო.

— ბავშვებო, ბავშვებო, მოდით, რა გითხრათ! — მოედო უბანს მისი წკრიალა ხმა.

უბნის ბავშვებმა მაშინვე უკლებლივ მიირბინეს...

ეს წინათ იყო, ოცდაათი წლის თუ უფრო მეტი ხნის წინათ. ახლა ქალს თვალწინ ედგა ბავშვების ხელით ჩამოწმენდილი, დაგვილ-დანარნარებული საბძელი, აგურებზე გადებული ფიცრები, ერთი მაღლა, მეორე ცოტა დაბლა, წინ, დიდ ყუთზე „მასწავლებლისათვის" მოტანილი მინდვრის ყვავილების თაიგული და კალამი. თვითონ კი სამფეხა სკამზე ზის ყუთის „მაგიდასთან" და ძაფით შეკრულ რვეულის ფურცლების „ჟურნალში", „მერხებზე" წამომსხდარ, მასზე ცოტათი პატარა ბავშვების სიას კითხულობს:

— ანდრონიკაშვილი ელო.
— აქ გახლავართ.
— ქადაგიშვილი მანო.
— აქა ვარ.
— ნიბლაძე სოფიო.
— ვარ.
— ზაუტაშვილი ილო.
— ვარ.

კაცებმა საბძელზე აძრობილი ორი გრძელი ფიცარი მოიტანეს და ქალის მახლობლად ბალახებში მიყარეს. ქალი ცოტა ქვემოთ ჩავიდა.

ნეტავ რად ანგრევენ?

ფიცრებს ისევ ეტყობოდა ცარცით და-

ხატული ყვავილები, ვარსკვლავები, 4×4= და კიდევ რაღაც-რაღაცები.

ქალი ვარსკვლავს ჩააცქერდა, ეს მან დახატა ერთი ხელის მოსმით, თავის „მოსწავლეებსაც“ ასწავლა. მერე იმათაც დახატეს ასეთი ვარსკვლავები საბძლის ფიცრებზე.

— აი ეს კიდევ გვირილა, ეს ნავი, — ჩაჰკირკიტებდა ქალი თავის თუ სხვის ნახატს და უკვირდა, ძალიან უკვირდა, რომ აქამდე არ წაშლილიყო.

ქალმა ლაშქარა ყვავილს ორი დიდი ფოთოლი შეაცალა, ნახატს გადაუსვა, წაიშლება თუ არაო. ფოთლებმა მხოლოდ მწვანე, სველი ზოლები დატოვეს ფიცარზე, ნახატი კი ისევ დარჩა. მერე ხელიც გადაუსვა, მაგრამ ვერც ახლა ამოიშალა მთლიანად. ყვავილის მოხაზულობა მაინც ემჩნეოდა ფიცარს.

უყურებს ქალი ფიცრებს, უყურებს და აი ფეხის ხმა ესმის. ქვემოთ გაიხედა, ვიღაც კაცი მოდიოდა საბძლის მხრიდან. მოდიოდა ნელ-ნელა. ქალთან რომ მოვიდა, შედგა და გაიღიმა.

— გამარჯობა, როგორა ხარ? — მიესალმა ქალს და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

ქალმაც გაუწოდა ხელი, იცნო. იმათი უბნელი იყო, მეზობელი.

— გაგიმარჯოს. აქ საიდან გაჩნდი?

— აგე, იქ ვიყავი, საბძლის დანგრევას ვშველოდი.

— მერე რად ანგრევთ, ცოდო არ არის? — ღიმილით უთხრა ქალმა.

— დაფუტუროვდა, აღარ ვარგა. იქ ვაზი უნდა ჩაყარონ.

კაცმა ფიცრებს დახედა.

— რას უყურებდი ამ ფიცრებსა, იქიდან დაგინახე, თვალს არ აშორებდი.

— რა ვიცი, აი ნახატები ისევ ეტყობა.

— მაშა, კაცო, რა ხანი გავიდა და ჯერაც არ წაშლილა.

— არც წაიშლება! — ნაღვლიანად თქვა ქალმა. — ხომ გახსოვს?..

— რატო რა, თუ სადმე სამართალია, მე უფრო არ უნდა მახსოვდეს?

— ვითომ რადაო?

— იმიტომა რომა, მე მაშინ წაშემოდგომო გამოცდა მქონდა ქართულში და შენ რომ გვამეცადინებდი, იმან მიშველა. ვაჰ, როგორ ჩამაცივდი, სანამ ერთი ლექსი ძალიან კარგად არ მასწავლე, თავი არ დამანებე. ჰოდა, სწორედ ის ლექსი მკითხეს გამოცდაზე, ისევ სწორ პასხუპით ვთქვი, რომ მეტად აღარ ჩამომეკიდნენ, დამიწერეს ხუთიანი და გამომისტუმრეს.

— მართლა? მე აღარ მახსოვს!

— მართლა, მაშ...

— რა კარგი იყო ჩვენი „სკოლა“, რამდენი ყვავილი მოგქონდათ.

— ის რა ყვავილები იყო, ცოტა ხანს აქ მომიცადე და ახლა მოგიტან კარგ ყვავილებს. — კაცი ფერდაზე დაეშვა.

ქალი ისევ ფიცრებს ჩააცქერდა. კაცი რომ დაბრუნდა და ყვავილების კონა გაუწოდა, მხოლოდ მაშინ აიხედა მაღლა.

ქალმა ყვავილები გამოართვა და დაყნოსა. ყვავილები გრილი იყო და სურნელოვანი.

— რა მშვენიერია...

— ჩემმა ბავშვებმა დარგეს ბაღჩაში. რა ყვავილს იტყვი, რო იქ არ იდგეს.

ქალმა გულზე მიიხუტა კონა, კაცს მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და წავიდა. ნელ-ნელა მიდიოდა, ხან ყნოსავდა ყვავილებს, ხან შორს დაიჭერდა კონას და სიხარულით შეჰყურებდა. ეჩვენებოდა, რომ ყვავილები კი არა, იმ ბავშვების სუფთა, კეთილი თვალები იყო, საბძელში აგურებზე გადებულ ფიცრებზე რომ ისხდნენ და თავიანთ „მასწავლებელს“ შესციცინებდნენ. ქალმა ფერდა რომ აათავა, შეჩერდა, საბძელს გადმოხედა, კაცები ისევ აკაკუნებდნენ.

ანთიმონიტი. ზოფხითოს საბადო (ზემო რაჭა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულ იქნა კანონი წიაღისეულ სიმდიდრეთა დაცვის შესახებ.

წიაღის კანონმდებლობის განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოთა ეკონომიკის მნიშვნელოვან ამაღლებას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი იქნება მეათე ხუთწლედის სახელოვანი მატიანისა.

ქვემოთ ვბეჭდავთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის დოცენტ თინა ავალიანის წერილს: „ჩვენი ქვეყნის უთვალავი ფერი...“

ჩვენი ქვეყნის უთვალავი ფერი

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.

ზოთა რუსთაველი.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგის არსებობა წარმოუდგენელია მინერალების გამოუყენებლად. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურის სფეროში ყველგან იყენებენ, ან მთლიანად დაფუძნებული არიან მინერალებზე.

რა არის მინერალი?

თვით ამ სიტყვის წარმოშობა იმას მიუთითებს, რომ იგი ადამიანის მიერ ძველთაგანვე გამოიყენებოდა: „მინერალი“ მადნის ნაჭერს ნიშნავდა. თანამედროვე მეცნიერებაში მინერალი ბუნებრივ შენაერთს, ან ზოგჯერ ხალას ელემენტს წარმოადგენს.

დედამიწის ქერქის ამგები ქანები მინერალებისაგან შედგება, სულ ერთია, დანალექი ქანია იგი თუ სხვა წარმოშობისა.

თანამედროვე მრეწველობა დიდძალ სასარგებლო წიაღისეულს, დედამიწის წიაღიდან მოპოვებულ მინერალურ ნედლეულს იყენებს. მრეწველობის ძირითადი მასალა რკინაა — თანამედროვე მეტალურგიის საფუძველი. უიმისოდ ვერ იარსებებდა მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, რკინიგზები, ხიდები; ვერ აიგებოდა რკინა-ბეტონის ნაგებობანი, ვერ დამზადდებოდა სამხედრო საჭურველი და იარაღი, ფართო მოხმარების საგნები...

დღეს საბჭოთა კავშირის მრეწველობა 283 მილიონ ტონა რკინის მადანს იღებს. ისტორიამდელ ხანაშიც კი ადამიანი უკვე იცნობდა რკინას, მაგრამ მისი ფართოდ გამოყენება მაშინ დაიწყო, რაც მან ისწავლა რკინის გამოდნობა მადნიდან, მისი დამუშავება, ფოლადის დამზადება. მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფერადი ლითონების წარმოებას, ანუ ფერად მეტალურგიას, რომელიც ფერად ლითონებს ამზადებს — სპილენძის, თუთიის, ალუმინის, ნიკელის, კობალტის მადნებიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იშვიათ ლითონებად წოდებულ ვოლფრამს, მოლიბდენს, ვანადიუმს, ბერილიუმს...

თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარებაც უმინერალებოდ წარმოუდგენელია; მინერალებიდან მზადდება სასუქი: კალიუმის მარილები, ფოსფორის შემცველი მინერალებიდან — აპატიტის, ფოსფორიტისაგან და აზოტის გვარჯილისაგან — ნოყიერი სასუქები.

ქიმიური მრეწველობა მთლიანად მინერალებზეა დამყარებული — გოგირდის, აზოტის, ნატრიუმის, ბორისა, ვერცხლისწყლისა და სხვა მინერალებისაგან ქიმიურ პრეპარატებს ამზადებენ.

საღებავების მისაღებად ხმარობენ

აურიპიგმენტი ლუხუმის საბადო (ზემო რაჭა).

სხვადასხვა მინერალს. მინერალებისაგან ამზადებენ წამლებს ან გადაუმუშავებლად წამლად ხმარობენ — ასეთია გლაუბერის მარილი (მინერალი მირაბილიტი). მედიცინაში იყენებენ რადიაქტიური მინერალებისაგან მოპოვებულ რადიაქტიურ ელემენტებს.

ადამიანის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამშენებლო, სანახელავო ან ძვირფას ქვებს, არამედ ისეთებს, რომელთაც ამ ბოლო ხანს მეტად დიდი სამრეწველო მნიშვნელობა მიეცა, მაგალითად, ალმასს, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ძვირფას ქვად, პატიოსან თვალად, სამკაულად ხმარობდნენ, დღეს მრეწველობაში, როგორც ყველაზე მაგარ ქვას, ფართოდ იყენებენ ლითონების დასამუშავებლად.

ზემოთ ჩამოვთვალეთ რამდენიმე მინერალი და ქანი, ბუნებაში კი ათასეულობით სხვადასხვა მინერალი და ქანი მოიპოვება, ყველა მათგანს თავისი გამოყენება და თვისებები აქვს. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფერით, ელვარებით, სიმაგრით, გამჭვირვალობით და სხვა ფიზიკური თვისებებითა და ქიმიური შედგენილობით.

— საპნის მაგივრად ხმარობდა (ამ თიხების გამოყენების სფეროები

აურიპიგმენტი
(ლუხუმის საბადო)

აურიპიგმენტი
(ლუხუმის საბადო)

ქალცედონის ჟეოდები შიგნით
ამეთვისტოს კრისტალებით (ახალციხე).

სინგური (ჩაწინწკლული წითელი
მარცვლები). ახეის საბადო (აფხაზეთი).

მეცნიერება და მრეწველობა ყოველდღიურად აღმოაჩენენ მინერალთა გამოყენების სულ ახალ-ახალ სფეროს. მაგალითისათვის უნდა დავასახელოთ თიხის მინერალები — გუმბრინი და ასკანიტი. როდესაც ცნობილმა ქართველმა მინერალოგმა ალექსანდრე თვალჭრელიძემ აღმოაჩინა და შეისწავლა სოფელ გუმბრის (იმერეთი) და ასკანის (გურია) — მიდამოებში გავრცელებული თიხები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა „თავის საბან მიწას" უწოდებდა და მხოლოდ თავის საბანად

სულ თითებზე ჩამოსათვლელი იყო, მას უმთავრესად ნავთობის გასაწმენდად ხმარობდნენ), დღეს მრეწველობის იმ დარგების ჩამოთვლაც კი გაჭირდებოდა, რომლებიც ამ თიხის მუდმივი მომხმარებლები არიან.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ მინერალები რომელ ქანებში გვხვდება. რა სიღრმეზე შეიძლება შევხვდეთ მათ, უნდა კარგად ვიცოდეთ გეოლოგიური მეცნიერების დარგი, რომელსაც მინერალოგია ეწოდება.

მინერალოგიის შესასწავლად კი, ცხადია, მინერალების ნიმუშებს უნდა მოვუყაროთ თავი, უნდა შევქმნათ მინერალოგიური მუზეუმი. და აი, ახლა ერთ-ერთ ასეთ მუზეუმი ვართ: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის მინერალოგიურ და პეტროგრაფიულ მუზეუმში. აქ მრავალი სპეციალობის სტუდენტები — გეოლოგები, ქიმიკოსები, მეტალურგები, მშენებლები სწავლობენ მინერალოგიასა და პეტროგრაფიას. ამ ვრცელ დარბაზებში ათიათასობით მინერალი და ქანია თავმოყრილი.

სამუზეუმო ექსპოზიცია იწყება ე. წ. სისტემატური კოლექციით, რომელშიც მინერალები ქიმიური შედგენილობისა და კრისტალური სტრუქტურის მიხედვით არის განლაგებული — ჯერ მარტივი შედგენილობის მინერალები, რომლებიც ხალას ელემენტებს წარმოადგენენ, მერე უფრო რთული შედგენილობის მინერალები და ა. შ. აქ თავმოყრილია მინერალები მთელი მსოფლიოდან.

მეორე კოლექციაში, რომელსაც გენეტიკური ეწოდება, მინერალები

დალაგებულია მათი წარმოშობის მიხედვით, მაგალითად, ერთად არის თავმოყრილი მაგმური წარმოშობის მინერალები, ცალკეა ცხელი ხსნარებისაგან გამოყოფილი, ე. წ. „ჰიდროთერმული" წარმოშობის მინერალები და სხვ.

მესამე კოლექციაში — „გეოქიმიურში" მინერალები დალაგებულია ძირითადი ელემენტების მიხედვით, რომლებიც მინერალს ქმნიან. მაგალითად, კალიუმის მინერალები, ნატრიუმის მინერალები და სხვა.

ცალკეა გამოყოფილი ე. წ. ქანთ-



ქალცედონის ნაძენი
აგრეგატი (ახალციხე)

ქალკოპირიტი
(მადნეულის საბადო).

პირიტი
(მადნეულის საბადო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენ მინერალთა კოლექცია, აქ თავმოყრილია ის მინერალები, რომლებიც ყველაზე მთავარია დედამიწის ქერქის აგებულებაში.

ცალ-ცალკე სადგარებზე გამოფენილია საქართველოს მინერალების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შესანიშნავი ნიმუშები.

მუზეუმის მეორე დარბაზში შეკრებილია ქანების სისტემატური კოლექცია, სადაც არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მრავალი კუთხიდან თავმოყრილია მაგმური, მეტამორფული და დანალექი ქანები.

ცალკე გამოყოფილია სამშენებლო ქვები, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული მარმარილოების კოლექცია. ყურადღებას იქცევს ვულკანური ამოფრქვევების დამახასიათებელი ფორმების კოლექცია (ვულკანური ყუმბარები, ლაპილები და ა. შ.).

კედლების გასწვრივ აწყვია ხელოვნურად შესრულებული მინერალთა კრისტალური სტრუქტურების მოდელები. კედლებზე ჰკიდია გამოჩენილი მინერალოგებისა და პეტროგრაფების პორტრეტები — მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და გეოქიმიის ფუძემდებელთა და განსაკუთრებით იმ მეცნიერთა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიისა და საქართველოს გეოლოგიური აგებულების შესწავლაში. აქ გამოფენილია და ყურადღებას იქცევს დიდი ქართველი მეცნიერის სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი, რომელმაც საქართველოს ქვების პირველი გამოყენებითი კლასიფიკაცია დაამუშავა, და ალექსანდრე თვალჭრელიძისა, რომელმაც საქართველოს მინერალოგიას ჩაუყარა საფუძველი, შეისწავლა და დანერგა მრავალი მინერალის დამუშავება. საქართველოს ბენტონიტური თიხების, მარმარილოების, დარიშხანის აღმოჩენა და შესწავლა მის სახელთან არის დაკავშირებული. მანვე საფუძველი ჩაუყარა ამ მუზეუმს. შეიძლება ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს მინერალებსა და ქანებს, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საქართველოს მრეწველობაში და რომელთა მოსაპოვებლად, დასამუშავებლად შექმნილია მძლავრი მრეწველობა. გავიხსენოთ თუნდაც ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელიც საქართველოს ბარიტების ბაზაზეა შექმნილი. ამ ქარხანაში ამზადებენ განსაკუთრებით მდგრად საღებავ ლითოფონს.

ბარიტის გამოყენებაზე ცალკე წიგნის დაწერა შეიძლება. ბარიტი ანუ მძიმე მინერალი (მისი სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „ბაოს“ — მძიმე) უფერო, თეთრი, მოყვითალო, მოცისფრო, მომწვანო, ნაცრისფერი, ყვითელი, მურა და შავი ფერისაც კი არის. ჩამოვთვალოთ ბარიტის გამოყენების ზოგიერთი დარგი: წმინდად დაფხვნილი ბარიტის ფხვნილს ჭაბურღილების ბურღვისას იყენებენ თიხის ხსნარის დასამძიმებლად, რათა განამტკიცონ ჭაბურღილის კედლები და თავიდან აიშორონ გაზის შეჭრა. ქიმიურ მრეწველობაში მისგან ამზადებენ ბარიუმის მარილს და პრეპარატებს, იყენებენ პიროტექნიკაში — ფეთქებად ნივთიერებათა წარმოებაში, ხმარობენ ბალნისაგან ტყავის გასაწმენდად. ბარიტის გამოყენება



მთის ბროლის დრუზა
(ზემო სვანეთი).

ათასნაირია — მას ხმარობენ შაქრის მრეწველობასა და ფოტოქიმიის წარმოებაში. მინანქრის დასამზადებლად და სპეციალური ოპტიკური მინების წარმოებაში. იგი საჭიროა ქაღალდისა და რეზინის, ლაქებისა და საღებავების, განსაკუთრებით კი მაღალხარისხოვანი თეთრი საღებავების წარმოებაში. ბარიტის ბათქაშით მოპირკეთებულია რენტგენის ლაბორატორიები, ვინაიდან იგი რენტგენის სხივებს არ ატარებს. ლითონურ ბარიუმს იყენებენ სპეციალური რადიომილაკების დასამზადებლად. ამ სიის უსასრულოდ გაგრძელება შეიძლებოდა.

გავიხსენოთ მაღლა, რაჭის მთებში მდებარე ურავის მეტალურგიული კომბინატი, სადაც მოიპოვებენ დარიშხანის მინერალებს — აურიპიგმენტსა და რეალგარს. აქვე, ქარხნებში — ლითონურ დარიშხანს, ნახევარგამტარებს, მესაქონლეობისათვის საჭირო სამკურნალო დარიშხანის პრეპარატებსა და მინდვრის მავნებლებთან საბრძოლოდ საწამლავ ნივთიერებებს ამზადებენ.

ზემოთ უკვე ვახსენეთ გუმბრინისა და ასკანის მრავალგვარი გამოყენება. თბილისთან ახლოს მდებარეობს მადნეულის პოლიმეტალური მადნის გამამდიდრებელი კომბინატი. აქ უშველებელი კარიერიდან მოიპოვებენ ქალკოპირიტის, პირიტის, გალენიტის, სფალერიტის მადნებს. მათგან ამზადებენ კონცენტრატებს, რომლისგანაც შემდეგ სპილენძს, ვერცხლს, ოქროსა და სხვა მეტალებს გამოჰყოფენ. ეს საბადო ზედაპირზე არსად გამოდიოდა, მაგრამ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შესაძლებელი გახდა მისი აღმოჩენა და გამომზეურება, ამ საქმეში კი გეოლოგებს მინერალოგიის ცოდნა დაეხმარათ.

ამიტომ არის, რომ გეოლოგები ასე გულდაგულ და ღრმად სწავლობენ მინერალოგიას, რაშიც მათ მინერალოგიური მუზეუმი ეხმარება.

თინა აპალიანი.

ᲐᲘᲡᲘ

ᲜᲝᲠᲩ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ №2

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

მოულოდნელად ფეხი ამტკივდა... ისეთი მაღალი სიცხე მქონდა, ხშირად გონებას ვკარგავდი. ექიმმა პავლე სულავამ დაადგინა, რომ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა. ოპერაცია გამიკეთეს. ერთ კვირაში მოვმჯობინდი, მაგრამ ფეხზე წამოდგომა, ცხადია, კარგა ხანს არ შემეძლო. სამი თვე ლოგინს ვიყავი მიჯაჭვული. ამხანაგები არ მივიწყებდნენ, ყოველდღე მაკითხავდნენ, მამეცადინებდნენ, ჟურნალ-გაზეთები მოჰქონდათ. ჩვენმა პიონერულმა რაზმმა, რომელიც მარჯვენაფლანგელი გახდა, ზაფხულის არდადეგებზე ფორპოსტ „წაჩხურას“ წევრად ამირჩია. მართალია, ჩემი ამხანაგების ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ჯერ კიდევ არ შემეძლო, მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ კედლის გაზეთის გაფორმებაში, დღიურების შედგენაში. რარიგ გაიხარეს თანაკლასელებმა, როცა 1-ლ სექტემბერს მათთან ერთად მეც მივედი სკოლაში. მილოცავდნენ ხელმეორედ „ფეხის ადგმას“.

ჩემი გული აღსავსეა ექიმ პავლე სულავასადმი, ჩემი ამხანაგებისადმი მადლიერების გ'ძნობით.

დავით ცაავა,

გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატი, V კლასი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲗᲐᲜ

მახსოვს ის წუთი, ის წამიც მახსოვს
და ის უსაზღვრო ბედნიერება,
როცა ლენინის დიდ ძეგლთან ახლოს,
ჩვენ დავიბადეთ პიონერებად.
როს ყველა ერთად ფიცს ვდებდით
მტკიცეს,
ბელადის სიბრძნით შუქმოფენილნი.
— ვისწავლოთ ისე, ვიშრომოთ ისე,
რომ ვასახელოთ დიდი ლენინი.

ველიაშვილი მაგული,
ენისლის საშუალო სკოლა,
IV კლასი.

„ᲓᲔᲓᲐ ᲔᲜᲐ“

იაკობ გოგებაშვილმა
ჩვენ „დედა ენა“ გვაჩუქა.
წიგნიდან იამ ლურჯთვალამ
მზესავით შემოგვაშუქა.

გვიყვარს ეს წიგნი ლამაზი,
ბავშვებს ასე რომ გვახარებს
და გულში ნაზად ვიხუტებთ
დედიკოსავით საყვარელს.

ლელა ახალაია,
სოხუმის რაიონის იაშთხვის
საშუალო სკოლა, V კლასი

ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

ელნათურები ქუჩებში
აციმციმებენ თვალებს,
მთვარე კი წყნარად ანათებს,
ჩემი ლამაზი მთვარე.
გაჩაღებულა ქალაქი,
ირგვლივ ბრდღვიალებს არე.
ცათამბჯენების შუაში
დაკიდებულა მთვარე.

მანანა ჯანიაშვილი,
თბილისის 130-ე საშუალო სკოლა, III კლასი.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

მასწავლებელი ცოდნის წყაროა,
იგი მეორე დედაა ჩვენი,
მან შეგვაყვარა მშობლური ენა
და მომავალი სიცოცხლის დღენი.

მისით ამაყობს მთელი ქვეყანა,
მას აღუზრდია მრავალი შვილი,
დაუხარჯია მათთვის ძალ-ღონე
და უამბნია ზღაპარი ტკბილი.

მასწავლებელი ცოდნის დედაა,
ცოდნის ხიდი და ცოდნის აკვანი,
ცოდნის სიუხვე, ცოდნის მწვერვალი,
ცოდნის შუქი და ცოდნის ლამპარი.

ლეილა ფოცხვერაშვილი,
სოხუმის მე-11 საშუალო
სკოლა, V კლასი.



მშენებლობაზე. თეიმურაზ ფილიევი,
გორის რაიონის სოფ. საქაშეთის საშუალო სკოლა, V კლასი.

ქ. მარქსის ს.ხ. [illegible]
სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა
[illegible]

ჩვენი საყვარელი ქალბატონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის გრძნობა უშუალო და ხალასია. წაკითხულს, ნანახსა თუ განცდილს დრო ვერ შლის, იგი ძვირფას მარგალიტად რჩება ჩვენს ცხოვრებაში... მახსოვს ჩვენს ოჯახში, მამის ბიბლიოთეკაში შენახული გაზეთ „დროების“ სურათებიანი დამატებანი. რა სათუთად და სიყვარულით ვათვალიერებდი მას... აქედან გავეცანი პირველად ლიტერატურისა და ხელოვნების მესვეურებს... აქ ამოვიკითხე პირველად სიტყვა მარიჯანი, აქვე ვნახე მისი პორტრეტი, აქედან გადმოვიწერე პირველად მარიჯანის ლექსი შუშაბანდის ყვავილზე... ეს იყო დიდი ხნის წინათ...

დიდი სამამულო ომის დროს, ახალციხეში ჩამოვიდა ქართველ მწერალთა ბრიგადა... მე მაშინ სტუდენტი ვიყავი... ქალაქის ბაღთან წამოვეწიე და შორიახლო მივდევდი მათ... აქ იყვნენ: სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, ერემია ქარელიშვილი და სხვანი. მათ ერთი სათნო სახის მანდილოსანი გამოეყო და ჩემდა მოულოდნელად მკითხა — რაიკომის შენობა სად არისო... მერე ტკბილად გამიღიმა... ასე მხოლოდ დედა თუ გამიღიმებდა ხოლმე... ეს გახლდათ მარიჯანი. ადრინდელ ნანახ სურათს ვერ მივამსგავსე. რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში, მოკრძალებით გავყევი რაიკომისაკენ... იმ საღამოს მათთან ერთად მეც წამაკითხეს ლექსი... აი სწორედ ამას ერქვა საოცნებო სიზმრის ახდენა!.. იმ ხანებში თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. აქ უფრო ახლოს გავიცანი მარიჯანი, ხოლო მისი წყალობით ჩვენი საუკუნის კორიფე — გალაკტიონი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე და სხვანი. მარიჯანი საბავშვო ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდა. მის სამუშაო ოთახში ისხდნენ აგრეთვე სხვა სექციების ხელმძღვანელები: ალექსანდრე აბაშელი, შალვა აფხაიძე; აქ გავიცანი ლეო ქიაჩელი, აკაკი ბელიაშვილი, აკაკი გაწერელია, გიორგი შატბერაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი, ლიდია მეგრელიძე, ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი), მარიკა მიქელაძე, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვანი, რომლებთან შეხვედრაც ძვირფასი იყო ჩემთვის. მარიკა ბარათაშვილს კი ადრევე ვიცნობდი.

მოკრძალებით შევაღებდი ხოლმე სექციების კაბინეტის კარს...

— ოო, მოდი, მოდი, — აყღერდებოდა მარიჯანის მხნე და მზრუნველობით აღსავსე ხმა, მისი ღიმილი გულზე ნათელივით მეფინებოდა.

ვათვალიერებ ჩემი კოლეგების— უფროსი თუ უმცროსი თაობის მწერალთა მიერ ნაჩუქარ წიგნებს...

საწერ მაგიდაზე მიდევს ლურჯყდიანი, ლამაზად გაფორმებული წიგნი „ზურა ატმის ქალაქში“. გადავშალე თავფურცელი და გამეღიმა: „ჩემს ბუთხუზა ელენეს — მარიჯანისაგან“ — რამდენი სიყვარული და სითბოა ამ წარწერაში! მე გულში ვიხუტებ ამ წიგნს და მოგონების მაღლობზე ავდივარ... ეს იყო დიდი ხნის წინათ, ჰო, მას შემდეგ ორ ათეულ წელიწადზე მეტია გასული... მაშინ საბავშვო გაზეთის რედაქციაში ვმუშაობდი, მარიჯანი კი მწერალთა კავშირში საბავშვო ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდა. დღეს საბავშვო სექციის

სხდომაა, მოდიო, — მეტყოდა ხოლმე მარიჯანი და მეც მუდამ სიხარულით ვესწრებოდი. უნდა გამოვტყდე, მანამდე საბავშვო ლექსებს ცოტას ვწერდი. ამ სექციის სხდომებმა კი ბევრი რამ შემძინა, მეტად დამაახლოვა მწერლებთან.

უფრო ნათლად ვიგრძენი, რომ მარიჯანი — ეს მხნე, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, ქველმოქმედი ადამიანი, დიდ საქმეს უძღვებოდა. საბავშვო სექცია რეგულარულად მუშაობდა. ყოველთვის გამოკრული იყო განცხადება, თუ მორიგ სხდომაზე, რომელი მწერალი წაიკითხავდა ახალ ნაწარმოებს. აქ იკრიბებოდნენ, როგორც უფროსი თაობის, ისე ახალგაზრდა მწერლები: როდიონ ქორქია, ნიკოლოზ ჩაჩავა, ლავრენტი ჭიჭინაძე, ლიდია მეგრელიძე, ანა ხახუტაშვილი, ქეთევან ელისაბედაშვილი, ჩემი თაობის მწერლები, დოდო ვადაჭკორია, ნინო ბეზარაშვილი, თინა კვირიკაძე და მრავალი სხვანი, სწორედ აქ, ამ სხდომებზე მომისმენია მათი ნაწარმოებები. მეტად საინტერესო იყო მათი გამოსვლები, საქმიანი შენიშვნები ერთმანეთის მიმართ, მე ახლაც ყურში მაქვს როდიონ ქორქიას წყნარი, დამაჯერებელი ხმა; როცა ახალგაზრდა მწერალთა მოთხრობების ირგვლივ ლაპარაკობდა. ყოველი მისი ფრაზა საგულისხმო და საჭირო იყო. „ნაწარმოებში იგრძნობა სამშობლოს სიყვარული, ბავშთათვის დიდაქტიკური მასალაც არის, მაგრამ, აი, ჩვენს მდიდარ ქვეყანას, რომელსაც საოცარი სილამაზე და სიუხვე გააჩნია, ხომ უხდა მოვლა, დაე, ბავშვებს ჩავუნერგოთ მისი მოვლა-პატრონობის გრძნობაო." — ამბობდა იგი. ყველაფრის აღნუსხვა ამ წერილში შეუძლებელია, მაგრამ დღესაც საამაყოდ მიმაჩნია, რომ მათ შორის ვტრიალებდი, ბევრს ვსწავლობდი მათგან. მე აქ ვხედავდი, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ქართული ენის სიწმინდეს. შემთხვევითი არ იყო, რომ როცა მარიჯანმა ნორჩი პოეტი გამომიგზავნა რედაქციაში, გოგონას ხელით მოტანილ ბარათში მწერდა: „ჩემო ელიკო, გიგზავნი ლუიზას, კარგი ლექსი აქვს, ყურადღებით მოეპყარი, მას ორი სახელი ჰქვია, თუ გინდა ლუიზას ნაცვლად ელისო დაარქვი". აი კიდევ ბარათი: „ამ ბარათის მომტანი ოთარ მოძმანაშვილი პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეა, იგი ჩემი მოთხრობის გმირია: „ზურა ატმის ქალაქში". ხომ გახსოვს, მოთხრობის ერთ-ერთი თავი: „რთველი ოთახში" — ეს ოთარმა მოაწყო"... — როგორ არ მახსოვს, ან კი როგორ შეიძლება დიდი შინაარსიანი სიცოცხლის, ბავშვებისა და ახალგაზრდობის მესაიდუმლისა და მათი მოამაგის დავიწყება... მახსოვს ერთერთი ზამთარიც, როცა დროებით შეფერხდა გათბობა მწერალთა სასახლეში, სხვა სექციებმა თითქმის შეწყვიტეს მუშაობა. საბავშვო ლიტერატურის სექცია ქედს არ იხრიდა სიცივის წინაშე. ამაზე კარლო კალაძემ იუმორისტული სტრიქონები გამოაქვეყნა მწერალთა კავშირის კედლის გაზეთში:

„თუ ულმობელი სიცივე
საცდელი არი ჯანისა, —
მაშ როგორ ჩეკავს წიწილებს
სექცია მარიჯანისა?"

მას შემდეგ მარიჯანი სხდომის დაწყების წინ, ახალგაზრდებს მხიარული ხუმრობით გვეტყოდა ხოლმე:

— აბა, ჩემო წიწილებო, ყველანი ხართ? აბა დავიწყოთ!..

ერთხელ მარიჯანმა მითხრა: შეკრიბე შენი საბავშვო ლექსები და წიგნის გამოცემისათვის იზრუნეო...

მე გაოცებით შევხედე: როგორ გავბედო ასეთი დიდი ნაბიჯის გადადგმა-მეთქი. მან კი ბიძგი მომცა, წამახალისა, უფრო მეტად დამაახლოვა ბავშვებთან და, აი, 1960 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა" გამოსცა ჩემი საბავშვო ლექსების კრებული — „გვიხმობს კაშკაშა ზაფხული" (მანამდე გამოცემული მქონდა ლირიკული ლექსების კრებული — „ვარძიის გაზაფხული").

იგი ყოველთვის ცდილობდა ახალგაზრდების წახალისებას, დაწინაურებას. საამისოდ, პირადად მე, მრავალი შემთხვევა მქონია. 1952 წლის ნოემბერში, ეკატერინე გაბაშვილის დაბადების ასი წლისთავი აღინიშნა. მანამდე მე პატარა, ოთხსტროფიანი ლექსი მქონდა დაწერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი. მარიჯანმა დამიბარა და მითხრა: ამ საღამოს ლექსი უნდა წაგაკითხოთო. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. საღამოს დედაჩემი, და ჩემი დაც ესწრებოდნენ და უფრო ვღელავდი. მე უფროსი თაობის მწერლებთან ერთად, პრეზიდიუმში ვიჯექი. მათ შორის იყო მარიჯანიც. როგორც კი ჩემი ჯერი დაასახელეს, ძალღონე მოვიკრიბე და დავიწყე კითხვა. როგორც კი დავამთავრე, ჩემდა მოულოდნელად ძლიერმა ტაშმა იფეთქა, პრეზიდიუმშიც მიკრავდნენ ტაშს. მარიჯანი კმაყოფილებით მიმზერდა. სინამდვილეში კი ეს ტაში მარიჯანს ეკუთვნოდა, რომელმაც ესოდენ გამახარა, ფართო საზოგადოების წინაშე წარმადგინა.

ასეთივე შემთხვევა მქონდა 1954 წლის მაისში:

გრიბოედოვის სახელობის ძველი თეატრის შენობაში დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა. აქ მონაწილეობდნენ პოეტები: იოსებ გრიშაშვილი, ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, მარიჯანი და სხვები. მარიჯანის სიკეთე ახალგაზრდობისადმი და პირადად ჩემდამი განუზომელია.

მე ახლაც სათუთად ვინახავ მარიჯანის ლექსს, რომელიც თავისი ხელით გადამიწერა:

„ათეული გარბის წლები
დანაოქდა სახე,
მე ის არ ვარ, რაც ვიყავი
თუმც ამას არ ვამხელ,
მე მაშინებს ეს სხვაობა,
გულიც აღარ ვარგა,
და არ მინდა ჩემს თაობას
შევრჩე ზედმეტ ბარგად.
მე მოვკვდები, თუ არ ვიმღერ
მას, რაც გულზე მაწევს,
მე მოვკვდები სწორედ იმ
დღეს,
როცა ლექსს ვერ დავწერ.

მარიჯანი."

იგი მუდამ მხნე გულისა და სულის პატრონია. განა მარტო ბავშვთა მეგობარია, მისი ნათელი, ჯანსაღი პოეზია სამუდამოდ ისადგურებს მკითხველის სულში.

ამას წინათ მასთან ვიყავი ბინაში. ჩემი ორი ახალი წიგნი მივუტანე. მან სიამოვნებით შეათვალიერა... კმაყოფილების გრძნობით შემომხედა...

მეც სათუთად ვინახავ მისგან ნაჩუქარ წიგნებს, მათ შორის ლამაზყდიან ლექსების კრებულს, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს:

„ჩემო ელიკო! მე მოწამე ვარ შენი ლიტერატურული დაბადებისა, გაიზარდე, გაიხარე, იბედნიერე. შენი მარიჯანი"...

და მეც ვიმეორებ — ჩემი მარიჯანი.... ჩემი საყვარელი მარიჯანი... ბარაქალა მის ნათელ ადამიანობას, მის კეთილ გულს, დიდი სიცოცხლის სიყვარულით რომ ძგერს.

ელენე ლიდიბამიშვილი

სიკეთე

შოთა როყვა

მხატვარი **ჯ. ჭანიშვილი**

ბებიაჩემი სულ ჩამჩიჩინებდა, კაცი ამქვეყნად იმიტომ გაჩნდა, სიკეთე უნდა აკეთოსო. სიკეთე არსად დაიკარგება, გზას ყველგან თავისით გაიკვლევსო. ანდაზაც ამბობს, სიკეთე თუნდაც რიყის ქვაზე დადე, გზას რომ გაივლი, წინ დაგხვდებაო.

არ ვიცი, ამ შეგონებამ გაჭრა თუ თავისით მოხდა, გზად მიმავალმა ერთი სიკეთე მეც ჩავიდინე.

შარშანწინ ბათუმიდან შინ, ხიდისთავში ვბრუნდებოდი. ნოემბრის მიწურული იყო და ძალიან მინდოდა ბებიასათვის ცოტა მანდარინი წამეღო. ჩვენი სოფლის ხილი საქვეყნოდ განთქმულია, მაგრამ მანდარინი არ ხარობს. არადა, ბებიას ძალიან უყვარს მანდარინი. რომ დავბერდი და კბილებიც შემომაკლდა, მანდარინი ჩემთვის გამოწერილი ხილიაო, წაიხუმრებს ხოლმე ხანდახან.

მინდოდა, მაგრამ ბათუმში ვერ ვიშოვე, ბაზარში არ იყო, მაღაზიაში არ იყიდებოდა და შინ უმანდარინოდ ვბრუნდებოდი.

ჩვენი ავტობუსი ქობულეთს რომ გამოსცდა და სოფელ წყავროკას მიუახლოვდა, გზაზე ორმა ბიჭმა ხელი აგვიწია. შოფერმა მანქანა შეაჩერა და კარი გააღო. ბიჭები თავაზიანები აღმოჩნდნენ, ამოვიდნენ, შოფერს მადლობა მოახსენეს და ავტობუსიც ნელა დაიძრა.

ორ მოსახლეს რომ ჩავუარეთ და მესამე ჭიშკარს გავუსწორდით, ავტობუსში ერთი შავკაბიანი ქალი წამოდგა, თუ შეიძლება, აქ შემიჩერეთო.

შოფერმა მანქანა გააჩერა, ჰავრამ წარბი შეჭმუხნა: იქ რომ გავაჩერე, რატომ მაშინ არ ჩამოდითო? ფეხით გავლა სულ აღარ გინდათ, თქვე მამაცხონებულებოო!

მანქანამ ნელი სვლით განაგრძო გზა, ერთ კარ-მიდამოს რომ გავუსწორდით, ყველასათვის მოულოდნელად წამოვიყვირე:

— გააჩერეთ, გააჩერეთ!

შოფერი ლამის გაგიჟდა.

— კაცო! — იყვირა მთელი ხმით, — ეს მანქანა თუ ასე ყოველ ჭიშკართან გავაჩერე, ხიდისთავში სამ დღეს ვერ ავალ. მე გეგმა მაქვს, თქვე კაი დედმამიშვილებო!

— გააჩერეთ, გააჩერეთ! — გავიმეორე მე, — გააჩერეთ და ერთი წუთით დამიცადეთ.

— ოო, ესეც ახალი ამბავი! — თქვა შოფერმა, — გააჩერეთ და თანაც დაუცადეთ!

— აბა, რა უნდა ვქნაო, ბატონო, წამომეშველა ერთი ბერიკაცი, — ბავშვია, იქნებ მანქანა სწყენს.

მანქანა გაჩერდა.

ძირს ჩამოვხტი და უცნობი მოსახლის ჭიშკრისაკენ გავიქეცი.

— მასპინძელო, ჰეი, მასპინძელო! — ავტეხე განგაში ჭიშკართან.

სახლიდან ქალიშვილმა და მოხუცმა კაცმა გამოიხედეს.

— ჩქარა, გოგონა, ჩქარა, მოდი ელანძე! — დავიწყე ხელის ქნევა.

გოგონა ნელი ნაბიჯით წამოვიდა. ბერიკაციც გამოჰყვა. შევატყვე, ეჭვის თვალით მიყურებდა მოხუცი.

— ქალიშვილო, თქვენს ბაღში საქონელი შემოსულა, ღობე გაურღვევია და მანდარინს შესევია, არიქა, უშველეთ!

გოგონა წამით შედგა, მერე, თითქოს ქარმა დაუბერაო, ბაღისაკენ გაფრინდა.

ბერიკაცი ჩემკენ წამოვიდა.

ავტობუსში ჩოჩქოლი ატყდა.

— შეხედე შენ! — ბოხი ხმით ამბობდა ერთი, — უყურე შენ, ბაღანას!

— ა, ბიჭო, კაცი! — ამბობდა მეორე, — როგორ შენიშნა მაინც!

უკვე შოფერიც აღარ ჯავრობდა. მანქანის საჭეზე ხელები დაეწყო და გაღიმებული მიყურებდა.

ბერიკაცი ჭიშკართან მოვიდა, მომესალმა.

— სადაური ხარ და ვინა ხარ? — მკითხა ღიმილით.

— ჩოხატაურელი, ხიდისთაველი, გივი ლომთათიძე.

— ჩოხატაურელი, ხიდისთაველი, გივი ლომთათიძე! — გაიმეორა მან და ბაღისაკენ გადაიხედა.

ზედ ჭიშკართან გაერღვია საქონელს მავთულის ღობე და ფერდობზე შეფენილ მანდარინის ბაღს შესეოდა. ოთხი წითელი ძროხა შესულიყო ბაღში.

— არიქა, გამოდენე, ჩქარა! — შვილიშვილს გადასძახა მოხუცმა, — ძროხას არ დაარტყა, მეზობლისაა.

მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— შენ ლომთათიძე, აქ დამიცადე ერთი წუთი. არ წახვიდე, იცოდე! — გამაფრთხილა და შინისაკენ ჩქარი ნაბიჯით გასწია.

— ჰო, რაღას უყურებ, აღარ მოდიხარ?! — გამომძახა შოფერმა, — ახლა ჩასიძება არ მოიწადინო!

ავტობუსში სიცილი ატყდა.

ბერიკაცი სახლიდან ფაციფუცით გამოვიდა და ჭიშკართან ერთი კალათა ყვითელი მანდარინი მოიტანა.

— ეს შენი საჩუქარია! — მითხრა და კალათა გამომიწოდა.

უხერხულობისაგან დავიბენი.

— არა, როგორ გეკადრებათ, არ წავიღებ! — ვთქვი მორცხვად.

— რას ჰქვია, არ წაიღებ! — შემომიტია მოხუცმა, — სულეიმანი ვარ მე, რომანაძე! — თქვა ამაყად, — ნაჩუქარია, კალათიანად წაიღებ და წახვალ, ხალხი გელოდება! კაიკაცობისათვის მადლობა მომიხსენებია. როცა აქეთ გზა გქონდეს, გამოიარე, ჩემი სახლის კარი მუდამ ღია იქნება შენთვის.

რაღა მექნა.

მოზრდილი კალათა ძლივსძლივობით ავათრიე ავტობუსში.

ეს შარშანწინ იყო.

შარშან, შემოდგომაზე, ხიდისთავში წერილი მივიღე; წყავროკელი მოხუცი სულეიმან რომანაძე მწერდა:

„კეთილო კაცო, გივი ლომთათიძ! შენი წილი მანდარინი წელსაც გენახება. მოიკითხავთ თუ გამოგიგზავნოთ“?

—აი, ხომ ხედავ, — მითხრა ბებიაჩემმა, — ხომ გეუბნებოდი, სიკეთე არსად არ იკარგება-მეთქი? შენც ადექი და იმ კეთილ კაცს მადლობა მისწერე.

«ბაღლოჯი, დედას ნავუღლეჯ...»

თბილისის აეროვაგზალში თვითმფრინავს ველოდებოდი. თბილისში დილით ჩამოვფრინდი, საქმეს მალე მოვრჩი და ახლა თვითმფრინავით ბათუმში უნდა დავბრუნებულიყავი.

თვითმფრინავის მოლოდინში საქმე რომ აღარაფერი მქონდა, გამახსენდა, დილით პორტფელში ათიოდე ცალი მანდარინი რომ ჩავიწყე. ახლა მანდარინს თითო-თითოდ ვიღებდი და ნელ-ნელა შევექცეოდი.

პორტფელში ორიოდე ცალი მანდარინი რომ დამრჩა, დარბაზში სამხედრო-ფორმიანი, ხმელ-ხმელი ბიჭი შემოვიდა. ჩემს გვერდით თავისუფალი ადგილი შენიშნა, მოვიდა და დაჯდა. ჩაფიქრებული იყო, სევდიანი თვალებით იყურებოდა. ერთხანს დუმდა, მაგრამ მერე, ბოდიშის მოხდით მკითხა: — თქვენ რომელ თვითმფრინავს ელოდებითო.

მეც ვუპასუხე.

— თქვენ საით? — ახლა თვითონ დავინტერესდი.

— მინსკში. — მიპასუხა და გაჩუმდა.

— ბელორუსი ხართ?

— დიახ!

— სამხედრო სამსახურს თბილისში გადიხართ?

— ჯერ თბილისში ვიყავი, ახლა ერევანში ვარ.

ძალიან ვინანე, ორიოდე ცალი მანდარინის მეტი რომ აღარ დამრჩა, პორტფელი გავხსენი და ბიჭს მანდარინი გავუწოდე.

— არა, არა, გმადლობთ, — თავპატიჟი დაიდო.

— მიირთვით, ინებეთ, — დაბეჯითებით ვუთხარი.

ბიჭი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ მერე თვალები გაუბრწყინდა და ხელი ნელა გამომიწოდა:

— კარგი, გმადლობთ, დედას წავუღებ.

ეს ისეთი ხმით თქვა, კინაღამ ავტირდი.

მანდარინი გამომართვა და ჯიბეში ჩაიდო.

ახლა უფრო დაწვრილებით ვკითხე ვინაობა.

სამხედრო სამსახურში ექვსი თვის წინათ გაეწვიათ. ახლა დეპეშა მიეღო, დედა ავად არისო, და შინ შვებულებით გაეშვათ.

მალე ჩვენი თვითმფრინავიც მოვიდა და ბიჭს გამოვემშვიდობე.

მისრიალებდა სუფთა, კრიალა ცაზე თვითმფრინავი „იაკ-40“.

დავცქეროდი საქართველოს მოხატულ მთა-ბარს და ზეცაშიც სიამოვნებას მანიჭებდა იმაზე ფიქრი, რომ სადღაც შორს, ბელორუსიაში, არის დედა, რომელიც ელოდება შვილს. ამ შვილს კი ჯიბეში უდევს ჩემი ნაჩუქარი ორადორი ცალი მანდარინი და დედასთან მიაქვს, რომ მიუტანოს და გაახაროს.

გაბრწყინებული თვალებით მითხრა მადლობა, როცა დავემშვიდობე და კეთილი მგზავრობა ვუსურვე.

რა პატარა ნაპერწკალია საჭირო ადამიანის გულის გასათბობად!

ნაზი დობორჯგინიძე

საპატიო ნიშანი

დღეს, „კოცონის“ მეხუთე შეკრებაზე, მისი ერთ-ერთი სექციის „აქტივისტის“ ხელმძღვანელმა, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგემ ნათელა ჩხეიძემ შენსავით ალისფერყელსახვევიანი დედაქალაქის 101-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნაზი დობორჯგინიძე მოიხმო.

„კოცონის“ ირგვლივ შეკრებილმა პიონერულმა აქტივმა მისალმების შემდეგ მას დიდი ჯილდო მიულოცა. უფროს პიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრების მონაწილე ნაზი დობორჯგინიძეს პიონერ-მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში გაწეული დიდი მუშაობისათვის სულ ახლახან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა. ეს ქართველი პიონერხელმძღვანელისათვის დიდი და საპატიო ჯილდოა.

ნაზი დობორჯგინიძე არა მარტო ჩვენი დედაქალაქის, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო პიონერხელმძღვანელია. ამ სურათით იქნებ იგი ბევრმა თქვენგანმა იცნოს; ნაზი წლების მანძილზე პიონერულ ზაფხულს ბავშვებთან, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთისა თუ შავიზღვისპირეთის პიონერულ ბანაკებში ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეიძლება ვინმეს დაავიწყდეს ენერგიული, საქმისა და ბავშვების მოყვარული ხელმძღვანელი.

ნაზი ადრე, პიონერულ წლებში, სკოლაშიც გამოირჩეოდა რაზმეულის ცხოვრებისადმი აქტიური დამოკიდებულებით. იგი იყო რგოლის ხელმძღვანელი, შემდეგ პიონერული კედლის გაზეთის რედაქტორი, სკოლის პიონერული თეატრის მსახიობი, რაზმის ხელმძღვანელი. ასე რომ, მან თავიდანვე პიონერული მუშაკის დიდი, რთული და საინტერესო გზა გაიარა... დანარჩენზე თვითონვე გესაუბრებათ.

●

... უკვე 7 წელიწადია, რაც პიონერხელმძღვანელი ვარ. ასე მგონია, პიონერხელმძღვანელები განსაკუთრებული კატეგორიის ხალხია. პიონერხელმძღვანელობას ვერ ისწავლი, ის შენს სულში, ხასიათში უნდა იყოს. ბავშვები უნდა გიყვარდეს, დაუღალავად, მოთმინებით შეგეძლოს მოუსვენართა რაზმეულის წინამძღოლობა.

არ მავიწყდება ჩემი უფროსი პიონერხელმძღვანელი ზეინაბ ოდიშარია. მახსოვს, პიონერულ აქტივს როგორ გვიწყობდა ხელს მუშაობაში, ახლა კი თვით მე მყავს უკვე ჩემი გაზრდილი პიონერხელმძღვანელი ზურაბ მიქაბერიძე. ზურაბმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სკოლას მიაშურა, საუკეთესო პიონერხელმძღვანელი გახდა, აქედან კი პიონერთა რესპუბლიკურ სასახლეში გადაიყვანეს მეთოდისტად; კარგია, როცა შენს დაწყებულ საქმეს, შენს ტრადიციას ვინმე საიმედოდ ჰკიდებს ხელს.

რგოლის ხელმძღვანელი, რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თავაზიანობით უნდა გამოირჩეოდეს.

მახსოვს, ჩვენს სკოლაში პიონერულ აქტივს როგორი შეკრული კოლექტივი გვქონდა.

ჩემი უმცროსი ძმა ჩემს რაზმში ირიცხებოდა, მე კი რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი. მეტყოდა ხოლმე, შენი ხათრით შინ და გარეთ ცელქობა და ტყუილი ვერ მომიხერხებიაო.

მე და ჩემს რაზმს თავისუფალი დრო არ გვქონდა. გაკვეთილების შემდეგ შინდაბრუნებულნი მეორე დღისათვის მასწავლებლის დავალებას შევასრულებდით თუ არა, კვლავ ერთმანეთს ვხვდებოდით სკოლაში, ან რომელიმე ჩვენთაგანის სახლში. ან კიდევ სასპორტო მოედანზე თუ საბავშვო ბიბლიოთეკაში, ვემზადებოდით პიონერული შეკრებისათვის თუ კარნავალისათვის, ზოგჯერ საღამოს ბინდამდე არ მიგვიტოვებია სასპორტო მოედანი. მაღაზიებში ვეძებდით ლამაზ ალბომებს, ნოტებს, ფერად ფურცლებს, ღია ბარათებს, სურათებს. კარდაკარ

ᲓᲐᲪᲕᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

დავდიოდით ჟურნალ-გაზეთების შესაგროვებლად, აქედან ყველას როდი ვიმეტებდით მაკულატურისათვის, საინტერესო წერილებს, სურათებს ამოვჭრიდით და პიონერთა ოთახში ვაგროვებდით, რადგან ისინი ყოველთვის გვჭირდება. ერთი სიტყვით, სულ რაღაცით ვიყავით დაკავებული, გული ყოველთვის სკოლისაკენ მიგვიწევდა. მთელი ჩემი ცხოვრებით მხოლოდ სკოლას ვეკუთვნოდი. იქიდან მოყოლებული დღემდე ვცდილობ მუდამ „ხალისიანი" და „მხიარული" ვიყო, რადგან ვიცი, პიონერებს მეტისმეტად გიყვართ ხალისიანი პიონერხელმძღვანელი.

101-ე სკოლაში ძალზე კარგი აქტივი მყავს, ისინი ჩემი საიმედო თანაშემწენი არიან. რაზმეულის საბჭოს არ უჭირს საცხოვრებელ ადგილებში რეიდების მოწყობა, თანატოლთა დღის რეჟიმის შემოწმება, ძნელადაღსაზრდელ პიონერთა საქმიანობისადმი თვალყურის დევნება.

ერთხელ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან კონჯარია აღელვებული დამხვდა. გამომიტყდა, თურმე რაზმეულის საბჭოში რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები თათბირზე არ გამოცხადებულიყვნენ.

მათთან მე და რუსიკოს პრინციპული საუბარი მოგვიხდა.

წინააღმდეგობა, რასაკვირველია, ბევრი გვხვდება, მაგრამ წლეულს განსაკუთრებით რაზმის ხელმძღვანელების მადლობელი ვართ. კახა გელაშვილი, ლევან სადუნიშვილი, მამუკა ბაქრაძე დამოუკიდებლად, ყოველგვარი შეხსენების გარეშე მუშაობენ რაზმთან. აქვთ საინტერესო გეგმები, დაინტერესებულნი არიან რაზმის ყოველდღიური ცხოვრებით, იციან თითოეული პიონერის ავკარგი.

პიონერული აქტივის სიყოჩაღეზე ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ როცა მოსკოვში უფროს პიონერხელმძღვანელთა საკავშირო შეკრებაზე ვიყავი წასული, სკოლაში პიონერებს რაზმეულის საბჭოს მეთაურობით ლითონის ნამსხვრევის შეგროვების კვირეული გამოეცხადებინათ და 5 ტონა ნამსხვრევი და ერთი ტონა მაკულატურა ჩაებარებინათ. ოქტომბრელთა საგუშაგოს კი საინტერესოდ ჩაეტარებინა „მოგზაურობა ოქტომბრელთა ქვეყანაში".

რაზმეულის საბჭოს ბრძოლა აქვს გამოცხადებული უდისციპლინო და ჩამორჩენილ პიონერებთან. აქტიურად მოქმედებენ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები, ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რათა რაზმში არც ერთი ჩამორჩენილი არ ჰყავდეთ. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ პიონერებს თითქოს აღარ სჭირდებათ უფროსი პიონერხელმძღვანელი, მაგრამ როდესაც პიონერული აქტივი სკოლაში კარგად მუშაობს, უფროს პიონერხელმძღვანელს მუშაობა არ უჭირს, მას კი ბევრი საქმე აქვს, სათავეში უდგას აქტივის სწავლებას. სხვადასხვა ღონისძიების მომზადებას, რაზმეულში ყველა დავალება რაზმეულის საბჭოს წევრების აქტიური მონაწილეობით სრულდება.

ჩემი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან კონჯარია, მისი მოადგილე დათო ოყროშიძე კარგად ართმევენ თავს მუშაობას, მათ ახლოს ჰყავთ შემოკრებილი რაზმეულის საბჭოს წევრები, პიონერული აქტივი.

მირზა გელოვანის სახელს ატარებს რაზმეული. რაზმეულში მთელი მუშაობა თვითმმართველობის პრინციპებზეა დაფუძნებული. ყველა უბანზე იგრძნობა პიონერული რგოლის, რაზმის საბჭოს თავმჯდომარეთა, ცალკეულ პიონერთა თაოსნობა. 350 პიონერი 11 რაზმშია გაერთიანებული. 5 ოქტომბრელთა ჯგუფი მუშაობს, ოქტომბრელთა ჯგუფებს კარგად უძღვებიან პიონერ-ინსტრუქტორები.

მუშაობს ინტერნაციონალური მეგობრობის, ოქტომბრელთა „ვარსკვლავების" ხელმძღვანელთა კლუბები, სასპორტო კლუბი „ოლიმპია" და ა. შ. ერთი სიტყვით, პიონერები ხელმძღვანელობენ ამ კლუბებს, მონაწილეობენ მის მუშაობაში. ასე რომ, ჩვენთან აქტივი არ არის დაყოფილი პასიურებად და აქტიურებად.

განსაკუთრებით მე-4 რაზმის ხელმძღვანელს გამოვარჩევ. მაგალითად, კახა გელაშვილი ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში იყო, როცა თვითონ ითხოვა რაზმის ხელმძღვანელობა. მახსოვს, მითხრა, ისეთი აქტივისტი უნდა გავხდე, ყველას ეხალისებოდეს ჩემს გვერდით შრომაო. უნდა გრძნობდე, რომ რგოლში, რაზმსა თუ რაზმეულში მუდამ მოუთმენლად გელოდებიანო. კახას ნათქვამმა ჩამაფიქრა, ერთხელ კიდევ გადავხედე ჩემი სკოლის პიონერული აქტივის მუშაობას. მათთან ერთად დავიწყე პიონერული ფორმულის — „რგოლში, რაზმეულში გელოდებიან" — ამოხსნა.

ვფიქრობ, კლუბ „კოცონის" ირგვლივ შემოკრებილი პიონერული აქტივი ამ ფორმულას სწორად ამოხსნის, რადგან იგი სხვა არაფერია, გარდა პიონერებთან აქტივის დამოკიდებულებისა.

თუ რომელიმე თქვენგანი მომავალ პროფესიად პედაგოგობას გაიხდის, გირჩევთ იგი პიონერხელმძღვანელობით დაიწყოთ, ხოლო კარგი პიონერხელმძღვანელი რომ გახდე, ამისთვის სკოლაში პიონერული დავალების საუკეთესო შემსრულებელი უნდა იყო.

პიონერულ აქტივისტს ნაკლოვანებების დაფარვა არ შეჰფერის, პრინციპულობა უნდა ახასიათებდეს, შეეძლოს ამხანაგისთვის ნაკლის გაბედულად თქმა. უნდა გამოირჩეს — ფაქიზი ვარცხნილობითა და სუფთა ჩაცმულობით.

პიონერული ფორმისა და ყელსახვევის, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე ვერც კი წარმომიდგენია აქტივისტის სკოლაში, პიონერთა სასახლეში მისვლა.

არ დაგიფარავთ, ისიც შემიმჩნევია, როცა ზოგიერთი აქტივისტი მთელ შესაძლებლობას სკოლის კედლებს გარეთ ვერ ამჟღავნებს. მაგალითად, ბანაკში არა აქვს კოლექტივში ცხოვრების ჩვევა, მისი გაძღოლის უნარი, ფიზიკურადაც ვერ არის ამტანი, არ იცის პიონერული სიმღერა და სპორტშიც ვერ იჩენს სიყოჩაღეს; არ იცის პიონერული რიტუალების ჩატარების წესები, არ შეუძლია კედლის გაზეთისათვის წერილების დაწერა. პიონერული საყვირისა და დაფდაფის დაკვრა ხომ, განსაკუთრებით ბიჭუნებისათვის, მთელი პრობლემაა.

მესაყვირენი და მედაფდაფენი კი უთუოდ ბიჭუნები უნდა იყვნენ. გოგონებო, ნუ წავართმევთ მათ ამ საქმეში პრიორიტეტს, თქვენთვისაც მოიძებნება რაზმეულში შესაფერისი საქმე!

დღე დღეს მისდევს, წელიწადი — წელიწადს, სკოლაში და შემდეგ ყოველ ზაფხულს ბანაკში მუშაობა ათასნაირი ხასიათის აქტივისტს, რიგით პიონერს მახვედრებს, მათთან ერთად ყოფნას, მუშაობას მე დიდ ცხოვრებისეულ სკოლად ვთვლი. ამ გზაზე კი დაბრკოლებებთან ერთად ბევრი სიხარულიც მხვდება...

რაზმეულში გატარებული წლები ბავშვობის ლამაზი ფერებით უნდა გაჰყვეს თითოეულ თქვენგანს, ამიტომ თითოეულისაგან ხშირად უნდა გვესმოდეს სამი სიტყვა: — მიყვარს ჩემი საქმე! და არა მარტო ლიტონი სიტყვები, არამედ საქმით დადასტურებული, — მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შენს მომლოდინე რგოლში, რაზმში, რაზმეულში შენი გამოჩენა სასიხარულო.

დიდებული რამ არის, როცა სჭირდები და მუდამ მოუთმენლად გელოდებიან, კოლექტივისათვის საჭირო ადამიანად გთვლიან.

ნათელა ფაილოძე

გურამ ფარაზანაშვილი

ბატონის ხუმარა და ქალიშვილი

მხატვარი ბ. ფიქრიძე

ძველად მეფეებსა თუ დიდ ბატონებს თავისთან ჰყოლიათ უნამოსწრებული, ოხუნჯი კაცი, რომელიც ახალ-ახალი ორნებითა და სასაცილო ამბებით ართობდა. ასეთ კაცებს ხუმარებს უწოდებდნენ. ხუმარას გარეშე დიდგვაროვანთა ცხოვრებას შნო და ლაზათი არა ჰქონდა. ამიტომ ხუმარას ყოველთვის სასახლეში ამყოფებდნენ. ნასუფრალიდან მორჩენილს ასმევ-აჭმევდნენ და ისინიც, თავიანთი ბედის მორჩილნი, ტყავიდან ძვრებოდნენ, რათა ეამებინათ მწყალობლებისათვის.

ერთხელ ერთ დიდ ბატონს სტუმრები ეწვივნენ. სამი დღე და ღამე გადაბმულად ილხენდნენ და ლრეობდნენ. არაფერი დაიკლეს, სვეს და ჭამეს. ქეიფით დაღლილ-დაქანცულებს ახლა გართობა მოუნდათ და ბატონმაც ხუმარას უბრძანა, თავი გამოეჩინა, რაიმე ორნით გამასპინძლებოდა სტუმრებს, რათა მოსაგონრად დარჩენოდათ მასთან გატარებული დრო. არც ფული დაუშურებია სხვა დროს ხელმოჭერილს, ოღონდ ეხარხარებინა და ესიამოვნებინა ნაბახუსევი თავადები.

ხუმარამ დასტური მისცა და ბაზარში გაეშურა, რათა წინასწარ მოეგვარებინა ჩაფიქრებული ორნი.

ბაზარში კი, რა გინდა სულო და გულო, იქ არ გამოეფინათ: ეს მოქარგულ-მოხატული ხალიჩებიო, ეს ცისარტყელას ფერებით მოთამამე ფარჩა-ატლასიაო, ეს მოჭედილ-მოსევადებული ქამარ-ხანჯალიო, ეს კოხტად შეკული ლაგამ-უნაგირიო, ეს მოგვირისტებული წუღა-ქოშებიო და, ვინ მოთვლის, რაღა-აც იყო გასაყიდად გამოტანილი.

ერთ კუთხეში კი, ვეება ვერხვის ქვეშ, თიხის გამომწვარი ჭურჭელი დაეხვავებინათ. იქვე, სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი მეჭურჭლე მუშტრის მოლოდინში ჩიბუხს აბოლებდა არხეინად. რაღას არ ნახავდით აქ: ყელყარყარა, ლამაზ სურებს; მუცელგანიერ ხელადებს; მაღალ-მაღალ კოკა-კოკურებს; ბრტყელძირა დოქებს; ლობიოს მოსახარშ ქაფქოთანას; კოხტა გოზაურებსა და ფართოპირიან ჯამებს.

აი სწორედ ამ მეჭურჭლეს დაადგა თვალი ხუმარამ. ჯიქურ მივიდა, ჭურჭელს წამიერად გადახედა და ფასი იკითხა.

ოსტატმა ჯერ ალმაცერად შეხედა უცნაურ სტუმარს, ეეჭვიანებინა, მერე გაიღიმა, ეგებ ვაჭარია და ამიტომ სურს ერთბამად ყიდვაო. ამასობაში ხუმარამ ოქროები ამოალაგა ქისიდან. მისმა ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა საბრალო მეჭურჭლეს. მაჯთლა ერთბამად რომ გავყიდო, ავშენდები და ეგაო, — გაიფიქრა სუნთქვაშეკრულმა.

მარდად წამოხტა, ჰატარა ჯოხი ძუკაკუნა ყოველ მათგანს, მუშტარს მიაწონა, არ გადაიფიქროს ამათი შეძენაო. ესაო, — ამბობდა, — გრილად ინახავს წყალსა, გამოწვა აკლია და იმიტომაა. აი აქედან კი საამოლვინის დალევა, სულ რაკრაკით გადადის ყელშიო. ჯამებში ჩასხმულ სასმელსა თუ საჭმელს ხომ სხვა გემო აქვს; ეს კიდევა, ისეთ ლობიოს მოხარშავს...

ხუმარა არ უსმენდა მეჭურჭლეს. მოუთმენლად ელოდა, როდის დაამთავრებდა თავისი ნახელავის ქებადიდებას. მას სულ სხვა ჰქონდა განზრახული და ამიტომ არც აინტერესებდა ჭურჭლის ღირსებანი. როცა ხელოსანი გაჩუმდა, ქისა პირდაპირ ჯამში მოუპირქვავა. საწყალ მეჭურჭლეს ლამის გული ამოუვარდა მკერდიდან. ამოდენა ოქრო ერთად დახვავებული ჯერ არ ენახა. ეს რა სასწაულის დღე გამითენდაო, — ფიქრობდა თვალებად ქცეული.

როგორც იქნა, გონს მოეგო. ფული სწრაფად წამოკრიფა და საპატიო მყიდველს სკამი შესთავაზა, — ეგებ დაღლილია, დაჯდეს მაინცაო. ხუმარამ მიწვევა არ მიიღო. არცა სცხელოდა დასაჯდომად. ჭურჭელს გარს შემოუარა, თავისთვის რაღაცას ანგარიშობდა.

— იქნებ დღესვე გნებავთ წაღება? — დაფაცურდა ხელოსანი, — ჩემი ურემი მაშინვე გავისტუმრე. რა ვიცოდი, თუ ასეთი ღვთის წყალობა მელოდა. — მერე ახალმა აზრმა გაჭკრა და ახლა მას ჩაეჭიდა: — თუ აქვე გნებავთ დარჩენა, დარჩით. მე ეხლავე წავალ, ადგილს მოგიცლით. საუცხოო ადგილია. წუნს ვერ დასდებთ. ყოველთვის აქა ვვაჭრობ. ამ ადგილისათვის ბაზრის უფროსმა ისეთი ყელმოხატული სურა დამცინცლა, ერთ რამედ ღირდა იმისი ყურება! რას იზამ, ეგ განაგებს აქაურობას...

ხუმარა დამცინავი ღიმილით უსმენდა მეჭურჭლის რატრატს. ბოლოს მოსწყინდა ყურის გდება, თავი გააქნია და მკვახედ შეაწყვეტინა.

— გეშლება, ოსტატო! მე ვაჭარი არა ვარ! ბედი არა მწყალობს მაგ

საქმეში! არც სადმე ვარ ამის წამღები. ისევ აქ ეწყოს ჯერჯერობით. შენც აქ მომიცადე პატარა ხანს. ჩემი ხელობა სხვა არის. მალე ბატონთან და მის სტუმრებთან ერთად დავბრუნდები. ბაზარს შემოვივლით, მერე შენთანაც მოვალთ. თვალყური კარგად მადევნე. რამდენჯერაც ქუდს მოვიხდი, იმდენჯერ ჯოხი დასთხლიშე რომელიმეს. ქუდს ძირს დავაგდებ და — შენც ძირს დაანარცხე, ვინც რა უნდა გითხრას, არავის არ მიაქციო ყურადღება. პირიქით, გაავებული დაერიე ამ ჭურჭელს და სულ მილეწ-მოლეწე, გაიგე? შენი მოვალეობა სულ ეს არის!

მეჭურჭლე გახევდა, ასე ეგონა, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო. ყველაფერს წარმოიდგენდა ამის გარდა. რაც თავი ახსოვს, ასეთი რამ არავის უთქვამს. გულზე მძიმე ლოდივით დააწვა მყიდველის სიტყვა. იჭვნეულად მიაჩერდა უცნაურ სტუმარს და ძლივსძლივობით ამოღერღა: — სულ ეს არის?

— სულ!

მეჭურჭლე კვლავ ჯიუტად მიაჩერდა, არ სჯეროდა მოსმენილისა. ეგებ ვერ არის სრულ ჭკუაზე, ან მე კარგად ვერ გავიგონე მისი ნათქვამიო, — ფიქრობდა. — იქნებ შესცდა საცოდავი, განა ცოტა უკუღმართობა ხდება ამ ქვეყანაზე?

— რაო, არა გჯერა? — გაიცინა ხუმარამ. ერთი შეხედვითაც მიხვდა, რაც ტრიალებდა ხელოსნის გულში. — ნუ გეფიქრება, ოსტატო, გიჟი არა ვარ, გიჟები ოქროს როდი აბნევენ!

მეჭურჭლემ უნებურად დახედა მუჭაში მოქცეულ ყვითელ ლითონს.

— ხომ არ გეცოტავა, კეთილო კაცო?

— არა, არა რას ამბობ! — ხელი სწრაფად ამოაფარა ზურგს. შეეშინდა უკანვე არ მოითხოვოსო.

— შენი საქონელი ახლა ხომ ჩემია? — ცბიერი ღიმილით შეეკითხა ხუმარა. იმედი ჰქონდა, მალე დავაყრევინებ ფარ-ხმალსაო...

— შენია, აბა მაშ ვისია?!

— ჰოდა, როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი. რამდენჯერაც დავაქნიო ქუდი, იმდენჯერ დაახეთქე...

— დავამტვრიო? — როგორღაც დაბინდული თვალით გადახედა ჭურჭელს. დაღონებით მიაჩერდა ყოველ მათგანს, უსიტყვოდ მიუალერსა. ასე ეგონა, სამუდამოდ ემშვიდობებოდა თავის ნახელავს...

— ჰო, ადამიანო, არ გეყურება?

— როგორ არ მეყურება! — შეკრთა ხელოსანი, მზერა მოაშორა ჭურჭელს, ღრმად ჩაისუნთქა და

მხრებაწურული დამნაშავესავით შემობრუნდა.

— მაშ, რაც გითხარი, ასრულებენ. ჩვენ მალე მოვალთ!

— რომ არ დავამტვრიო?

ახლა კი ნამდვილად გაბრაზდა წასასვლელად გამზადებული ხუმარა. ალმურმა აულეწა სახე. თავი ვეღარ შეიკავა, სამფეხას წიხლი ამოსცხო და შორს მოისროლა.

— არ მეგონა, ჩემზე ბრიყვი თუ ვინმე იქნებოდა კიდევ!.. როგორ ვერ მიხვდი?! ჭურჭელი ლამაზი გაგიკეთებია, სხვაფრივ კი ცარიელა თავი გქონია! გამოიფხიკე ეგ თიხით გამოტენილი ყურები, ადამიანო, ეგებ რამე შეისმინო! საქონელი ვიყიდე შენგან, საფასური გადაგიხადე, არც თუ ურიგო! ახლა კი ჩემია, ჩემი! ჩემს საკუთრებას კი სულაც ბღდვირს ავადენ, გაიგე?!

ხელოსანი კვლავ ფიქრიანად იდგა. მარჯვენა წარბი უთამაშებდა. ასე ემართებოდა ყოველთვის, დიდი ღელვისას.

როგორც იქნა, თავი ასწია, მძიმედ ამოიოხრა და თან ამოატანა:

— მე ჩემს ჭურჭელს არ დავამტვრევ! — ხელისგული გაშალა, ოქროებს უგემურად დახედა, თითქოს ხორცი აუწვაო.

— რას მიქვია, არ დავამატვრევო! — ახლა კი მთლად გადაირია ხუმარა, სეირის მაცქერალთა გასაგონად ხმას აუწია: — მე ვიყიდე და რაც მინდა, იმას ვუზამ! შენ აღარა ხარ ამის პატრონი, აღარ!

კოპებშეკრული ხელოსანი კი მაინც თავისას გაიძახოდა:

— ვინც რა უნდა ისა თქვას! ჩემს გაკეთებულ ჭურჭელს ჩემივე ხელით არ მოვსპობ!

ხუმარა გაჩუმდა. არ უნდოდა დრომდე გაეხმაურებინა ყველაფერი. მაშინ ხომ მთელი ეშხი ჩანაფიქრისა ჩაეშლებოდა.

ცოტა ხანს ასე იდგა. მერე რაღაც მოიფიქრა, თვალები ახალმა აზრმა გაუბრწყინა და ხელოსანს მომბალი კილოთი მიმართა:

— კეთილი, რადგან ასე გსურს, იყოს შენებურად. ჯიუტი კაცი კი ყოფილხარ. ალბათ მართლაც ძნელია შენთვის მაგის გაკეთება. რა გაეწყობა, სხვას დავიქირავებ და იმას დავამტვრევინებ. მსურველები გამოჩნდებიან. შენ კი მალე აიბარგე აქედან!

მეჭურჭლის დაძვრა კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. მან უკვე მიიღო გადაწყვეტილება და მას ვეღარავინ შეაცვლევინებდა ამქვეყნად.

— არც იმ სხვას მივცემ ნებას! — ფეხები განზე გაალაჯა, თითქოს თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვისათვის მოემზადაო.

ხუმარა მიხვდა, რომ დაუფიქრებლად მოიქცა, როცა წინასწარ გაუმჟღავნა ჩანაფიქრი. ამით საბოლოოდ ჩააფლავა თავისი საქმე. მეჭურჭლის სიკერპე კარგს არას უქადდა. ბატონი და მისი სტუმრები კი მოუთმენლად ელოდნენ...

— რატომ, ადამიანო, რატომ?! — მუდარით შეხედა, შეევედრა. — ჭურჭელი ხომ ჩემია, ფულიც მოგეცი შეუვაჭრებლად... აი ისევ ხელში გიჭირავს... ჩემს ქონებას კი მინდა დავამტვრევ, მინდა ცეცხლში გადავყარი, მინდა მდინარეს გავატან. ვისი რა საქმეა!

— არა! — წარბშეკრული ხელოსანი დათმობას არ აპირებდა.—მე ესენი ადამიანის საამებლად გავაკეთე და არა გასართობად. ვის გაუგონია საკუთარი შვილების დახოცვა? ამათ შექმნას უამრავი დრო და ფიქრი შევალიე, ღამეც არ მეძინა რიგიანად. ჩემი გულის ნაწილი ჩავატანე ყოველ მათგანში. შვილებივით შემიყვარდა... აი ამ თითებში აიზილა მაგათი გამოსაძერწი თიხა, ამ თითებმა მისცეს ფორმა და ლაზათი... ნახე, რა მშვენივრები არიან! კაცს თვალი ზედ დარჩება... ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, სიცოცხლე რომ მოუსპოს ამათ. მე ესენი ქვეყანაში გამოვიყვანე, ყველას თავთავისი საქმე დავაკისრე... შენ კი რას მირჩევ? ეგ უწმინდური აზრი ვერ შემაცდენს, ვერა! აჰა, ეს ოქროები შენვე გქონდეს... მთელ კვირასაც ხალისით ვიდგები აქ! ხალხი თვალს რომ შეავლებს და მოეწონება, ისიც დიდი საფასური იქნება ჩემთვის. ბატონების გასართობად კი სხვა ოინი მოიგონე. იმათ სიამოვნებას რატომ უნდა შეეწიროს ჩემი ნაჯაფი!

ხუმარა მიხვდა, რომ ვეღარაფერს გააწყობდა. ჯამში ჩაყრილი ოქროები წამოხვეტა და საჩქაროდ გაიძურწა იქიდან. ყოველგვარი ხერხისა და კვიმატი ენის პატრონი დღეს დამარცხდა პატიოსნებასთან შეჯიბრებაში. დამარცხდა, მაგრამ არცა ნაღვლობდა ძალიან. ბატონსა და მის სტუმრებს კარგა რიგიანად შეუკურთხა და ჯანდაბამდის გზა უსურვა. იცოდა, გატყეპა არ ასცდებოდა. თვალწინ კვლავ ის ჯიუტი მეჭურჭლე ედგა. „მეც, ალბათ, ასე მოვიქცეოდი“,—ფიქრობდა სევდიანად და თავს ძალას ატანდა, რაიმე სასცილო მოეგონებინა, ეგება გადარჩენილიყო ბატონის რისხვას, რითიმე ეამებინა მისთვის.

ვინ გაამტყუნებდა, მასაც ჰყავდა სარჩენი ცოლ-შვილი, სხვა ხელობისა კი არა იცოდა რა.

პასუხი 1976 წ. № 8-ში დასმულ კითხვებზე

კურორტი ბახმარო

ბახმარო კურორტია. იგი მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში, ზღვის დონიდან 1950-2000 მეტრ სიმაღლეზე. მდ. ბახვისწყლის ლამაზ ხეობაში, წიწვიანი ტყით შემოსილ აჭარა-იმერეთის ქედის კალთებზე, შავი ზღვის ნაპირიდან 50 კმ დაშორებით. აქედან რკინიგზის უახლოეს სადგურ საჯავახომდე 60 კილომეტრია, რომელსაც კურორტი საავტომობილო გზით, რაიონული ცენტრის ჩოხატაურისა და ბალნეოკლიმატური კურორტის ნაბეღლავის გავლით უკავშირდება. ამ გზის მშენებლობა დაიწყეს 1945 წელს და დაამთავრეს 1946 წელს. ბახმაროს მთის ჰავაზე ზღვის კლიმატის დამახასიათებელი ელემენტები ახდენენ გავლენას, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროდან ატმოსფერულ დინებასთან ერთად დასავლეთის ქარებისა და ბრიზების სახით კურორტის ტერიტორიამდე აღწევენ, მატებენ მას ტენიანობას და ამასთან ერთად ადამიანის ორგანიზმზე მთის ჰავის გამაღიზიანებელ მოქმედებას არბილებენ. ბახმაროს კლიმატისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მზის ნათებისა და ულტრაიისფერი რადიაციის მაჩვენებლების სიუხვე, გრილი ზაფხული, ყველაზე თბილ თვეში — ივლისში 12,4° და გახანგრძლივებული, თოვლიანი ზამთარი, ყველაზე ცივ თვეში იანვარში — 5,5°.

ბახმაროს, როგორც საუკეთესო საკურორტო ადგილს, პირველად ყურადღება მიაქციეს მის ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებლებმა. მათ იქ დაიწყეს პრიმიტიული შენობების აგება, ხოლო შემდეგ თანდათანობით აშენდა საკურორტო ობიექტები დ ბახმარო გამოცხადდა რესპუბლიკურ სეზონურ (ზაფხულში ორი თვე, ორთვენახევარი) კურორტად. ამჟამად აქ ფუნქციონირებენ ძირითადად დასასვენებელი დაწესებულებები.

ამის გარდა არის სანატორიუმი მოზრდილთათვის, საკურორტო პოლიკლინიკა, მეტეოსადგური და ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები.

ბახმაროში სამკურნალო ჩვენებებია: ქრონიკული ბრონქიტი, მშრალი პლევრიტი, ლიმფადენიტი, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ას-

კუბის პიონერთა კავშირი

კუბელი ბავშვების პირველ კავშირს „ნორჩი პატრულები“ ერქვა. „ნორჩი პატრულები“ ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ხელი შეეწყოთ ქვეყნის წინსვლისათვის: აწესრიგებდნენ ქუჩებში მოძრაობას, სადაც შეეძლოთ, სცვლიდნენ მებრძოლ უფროსებს, გვერდში უდგნენ სახალხო მილიციას.

ეკონომიური ბლოკადის დროს, როცა კუბის მრეწველობას ნედლეული უჭირდა, „ნორჩი პატრულები“ აგროვებდნენ დეფიციტურ ნედლეულს: მაკულატურას, მინის ჭურჭელს, ნამსხვრევ მინას, ხოლო როცა თვითმფრინავების ასაგებად და იარაღის წარმოებისათვის ფულის შეგროვების კომპანია ტარდებოდა, ქუჩებში დროშებით გამოდიოდნენ და მოსახლეობაში ფულს აგროვებდნენ.

„ნორჩ პატრულთა“ რიგები თანადათანობით ივსებოდა ბავშვების ახალი ნაკადით, შემდგომ ფიდელ კასტროს რჩევით — „ნორჩი პატრულები“ პიონერულ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ.

1961 წელს აპრილში კუბაზე შეიქმნა „მეამბოხე პიონერთა კავშირი“, მასში გაერთი-

იცნობ თუ არა შენს ეზოჯიუზ ეზაკეს?

დახედეთ ამ ფოტოსურათს და მოგვწერეთ: სად, როდის და რა თარიღთან დაკავშირებით დაიდგა ეს მონუმენტი. ვინ არის მისი ავტორი, კიდევ რომელი ქანდაკებები იცით მისი?

თმა, მეორეული ანემია, მსუბუქი ფორმის ნევრასთენია და სხვა.

თვით სახელწოდება „ბახმაროს" შესახებ მრავალი ლეგენდა და გადმოცემა არის ცნობილი. დღესდღეობით ძნელია ზუსტად თქმა, თუ რატომ დაერქვა მას ეს სახელი.

ვლ. ანიკაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

1976 წლის № 8-ში დასმულ კითხვებზე სწორი, საფუძვლიანი პასუხი გამოგზავნეს ქ. მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა დარეჯან ჯაყელმა და მეცხრეკლასელმა მედეა მაისურაძემ; ქობულეთის რაიონის ქაქუთის საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ლეილა ოქროპირიძემ, რისთვისაც რედაქცია მადლობას უხდის მათ.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

ანდნენ 7-18 წლის ასაკის გოგო-ბიჭები: მოგვიანებით ამ ორგანიზაციას „კუბის პიონერთა კავშირი" დაერქვა.

ორგანიზაციაში შესვლამდე მოსწავლეები გადიან ერთთვიან საკონტროლო სტაჟს. ორგანიზაციის წევრად მას იღებენ, ვინც თავს ისახელებს დისციპლინით, ყოჩაღი იქნება, მარჯვედ გააკეთებს მინდობილ საქმეს. კუბის რესპუბლიკის მოფრიალე ალამთან პიონერები ფიცს სდებენ:

„ჩემი მეგობრების წინაშე, ჩემი სახელმწიფოს წინაშე ფიცს ვდებ, რომ ერთგული დამცველი ვიქნები რევოლუციისა და მშრომელთა ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა დავაყენებ".

ჩვეულებრივ, პიონერებს აცვიათ თეთრი ბლუზები და მუქი შარვლები (ან ქვედაკაბები), ახურავთ წითელი ბერეტები, უკეთიათ კუბის ეროვნული დროშისფერი — თეთრი-ცისფერი ყელსახვევები. ყელსახვევები წითელვარსკვლავიანი სამკუთხა მისაჭერებით აქვთ შეკრული.

პიონერმა კუბის „ახალგაზრდა კომუნისტთა" ასოციაციაში შესვლის უფლების მოსაპოვებლად უნდა შეასრულოს მთელი რიგი დავალებანი, მაგალითად, აუცილებელია ხუთჯერ მაინც ავიდეს სიერა-მაესტრას მთის ერთ-ერთ მწვერვალ ტურინზე. იმ მთაზე, რევოლუციის დროს ფიდელ კასტროს მებრძოლთა ბანაკი იყო.

კუბის ხელისუფლება ბევრს აკეთებს ბავშვებისათვის:

კაპიტალისტთა და მდიდართა ყოფილ სახლებში, ახლა პიონერთა სასახლეებია. ბავშვებს აქვთ თეატრები, სტადიონები, პარკები, სიერა-მაესტრას მთაზე შექმნილია მოსწავლეთა ქალაქი, სადაც რევოლუციის დროს დაღუპულ მებრძოლთა მომავალი თაობა — ოცი ათასი ბავშვი ცხოვრობს, სწავლობს, შრომისა და ბრძოლისათვის ემზადება.

რაზომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა?

რუდიარდ კიპლინგი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ვეშაპი. ეს ვეშაპი, ჩემო ბიჭუნავ, ზღვაში ცხოვრობდა და თევზებს სანსლავდა. რას არ გეახლებოდათ: ცხენთევზას და ნემსთევზას, ქარიყლაპიას და ტილაპიას, ზვიგენს და ზუთხს, კარჩხანას და ტარაღანას, ბზრიალ-ტრიალა ქორჭილას. არც ერთს არ იწუნებდა: დააღებდა ხახას აი ასე — ჰამ, და გადაუძახებდა. ასე და ამგვარად გაავლო მუსრი ყველაფერს, ერთი პატარა თევზის გარდა. ეს თევზი ძალზე პაწაწინა იყო, მაგრამ საოცრად მოხერხებული და ეშმაკი. ამ ეშმაკუნა-თევზუნამ ვეშაპის ხახისაგან თავი ასე დაიძვრინა: მიცურდა და მის მარჯვენა ყურს უკან მყუდროდ დაიბუდა.

ღორმუცელა და მშიერმა ვეშაპმა ხმამაღლა დაიბუხუნა, მშიაო.

მაშინ ამ პაწაწინა ეშმაკუნა-თევზუნამ მაცდური ხმით მიუგო:

— თქვენო უდიდებულესობავ და უბრწყინვალესობავ, ძუძუმწოვართა შორის, გიგემიათ ოდესმე კაცის ხორცი?

— არაო, — უპასუხა ვეშაპმა, ეგ როგორი გემოსიაო?

— გემრიელია, ძალიან გემრიელი, მაგრამ ხიცინაო.

— რამდენიმეს რომ მომგვრიდე, კარგი იქნებოდა! — თქვა ვეშაპმა და ბოლო ისე მძლავრად მოიქნია, რომ ზღვა ააღელვა.

— ერთ ჯერზე ერთიც გეყოფოდა,— უთხრა ეშმაკუნა-თევზუნამ და დაუმატა, — მიცურდი ჩრდილოეთ განედის ორმოცდაათ და დასავლეთ გრძედის ორმოც გრადუსთან (ეს სიტყვები ჯადოსნურია), იქ ზღვაში ჩაძირული გემის გადარჩენილ მეზღვაურს ნახავ: ტივზე ზის, აცვია ცისფერი ტილოსქამრიანი შარვალი, ქამარზე მონადირის ბასრი დანა ჰკიდია და მეტი არაფერი (ქამარი არ დაივიწყო, ჩემო ბიჭუნავ!). მაგრამ სიმართლე რომ გითხრა, ეს კაცი ჭკვიანი, ძალზე მარჯვე და მამაცია.

ვეშაპმა იცურა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა; ბევრი იცურა თუ ცოტა იცურა, ბოლოს ჩრდილო განედის ორმოცდაათ გრადუსსა და დასავლეთ გრძედის ორმოც გრადუსს მიადგა და რას ხედავს! შუა ზღვაში ტივი ტივტივებს, ტივზე მარტო ერთი კაცი ზის, ეს კაცი ჩაძირული გემის გადარჩენილი მეზღვაურია. მეზღვაურს ცისფერი ტილოსქამრიანი შარვალი აცვია (ხომ დაიხსომე ქამარი?) და ქამარზე მონადირის ბასრი დანა ჰკიდია. ფეხები წყალში ჩაუყვია და არხეინად ატყაპუნებს.

ვეშაპმა დააღო ხახა, იმოდენაზე დააღო, იმოდენაზე, რომ ბოლომდე დარჩა პირი ღია და გადასხლტა ტივიც, მეზღვაურიც, ცისფერი ტილოს შარვალიც, დანაც და ქამარიც. ყველაფერ ამას თავის ღრმა, ბნელ, თბილ საკუჭნაოსმაგვარ სტომაქში რომ გადაუძახა, ტუჩები გააწკლაპუნა — აი ასე წკლაპ-წკლაპო და ბოლოზე ზედიზედ სამჯერ სიამოვნებით შემოტრიალდა.

მაგრამ ჩაძირული გემის მეზღვაურმა, რომელიც ნამდვილი ჭკუის კოლოფი გახლდათ, როგორც კი თავი ვეშაპის ბნელ, თბილ, ღრმა საკუჭნაოსმაგვარ სტომაქში დაიგულა, ხტომა დაიწყო: ახტა და დახტა, გადახტა და გადმოხტა, შეხტა და შემოხტა, მიხტა და მოხტა, უკბინა და უჩქმიტა, იცოცა და იფორთხა, იყმუვლა და იღმუვლა, იყვირა და იკივლა, იცეკვა და იხტუნა. ისე და იმგვარად, რომ ვეშაპს სულ თავბედი აწყევლინა.

საბრალო ვეშაპმა ეშმაკუნა-თევზუნას უთხრა:

— ეს კაცი ძალიან მჩხვლეტავს და მიხიცინებს, მოვკვდი, რა ვქნა, მიშველე რამეო.

— უთხარი, გარეთ გამოვიდესო,— ურჩია ეშმაკუნა-თევზუნამ.

— ეი, შენ, კაცი ხარ თუ კუნტრუშა, მოვკვდი სლოკინით. გამოდი, გამოეთრიე, წადი შენი გზით და რაც გინდა ისა ქენი, ოღონდ მომშორდი, — ჩასძახა ვეშაპმა სტომაქში მოხტუნავე მეზღვაურს.

— არაფერსაც არ გამოვალ. აქაც კარგად გახლავარ. გამოსვლას არ ვაპირებ, მაგრამ თუ ჩემს მშობლიურ სანაპიროზე ალბიონის[1] ციცაბო, თეთრ მთებთან მიმიყვან, მაშინ კი ვიფიქრებ, გამოვიდე თუ არაო, — ამოსძახა მეზღვაურმა და უარესად აცეკვდა და ახტუნდა.

— სხვა გზა არ არის, შინ უნდა მიიყვანოო, — ურჩია ეშმაკუნა-თევზუნამ, — ადრეც ხომ გაგაფრთხილე, რა ჭკუის კოლოფიც ბრძანდებოდა ადამიანი.

ვეშაპმა იცურა და იცურა, იცურა და იცურა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ატყაპუნა ბოლო და ფარფლები; ბევრი იცურა თუ ცოტა იცურა, ბოლოს მეზღვაურის მშობლიურ სა-

[1] ალბიონი — ინგლისის ძველი სახელწოდება.

ნაპიროს — ალბიონის ციცაბო, თეთრ კლდეს მიადგა. შეცურდა ყურეში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააღო ხახა და დაიძახა:

— აჰა, მოვედით, გამოდი და, საითაც გინდა, გასწიე: ვინჩესტერში, აშუელოში, ნაშუაში, კინში თუ ფიტ-ჩბურგში, — როგორც კი დაიძახა „ფიტჩ“, მეზღვაური ვეშაპის ხახიდან ამოვიდა.

მაგრამ სანამ ვეშაპი ალბიონისაკენ მიისწრაფოდა, მეზღვაური, რომელიც ნამდვილი ჭკუის კოლოფი გახლდათ, გულხელდაკრეფილი როდი იჯდა. აიღო თავისი ბასრი დანა, გაჭრა ტივი შუაზე, გადააჯვარედინ-გადმოაჯვარედინა და ქამრით მაგრად შეკრა (ახლა ხომ მიხვდი, რატომ არ უნდა დაგვიწყებოდა ქამარი?!), შეკრა კოხტა რიკულები და ვეშაპს მაგრად ჩაუჭედა ხახაში. ამის შემდეგ ზეპირად წარმოთქვა ჯადოსნური სიტყვები:

ღორმუცელავ, რიკულებით
გაგიჭედე შავი ხახა,
ამის შემდეგ დახარბებით
რასაც შეჭამ, მასაც ვნახავ!



დაამთავრა თუ არა ეს ლექსი, მეზღვაური ქვიშაზე გადმოვიდა და პირდაპირ შინისაკენ გაემართა დედასთან. მეზღვაური მალე კიდეც დაქორწინდა და სულ ჯანმრთელად და ბედნიერად ცხოვრობდა.

ვეშაპიც დაოჯახდა და ისიც ბედნიერი იყო.

მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული საუკუნეების მანძილზე ხახაში ჩაჭედილი რიკულები აქამდე ვერ მოიშორა — ვერც გადაყლაპა და ვერც ამოაგდო. ეს რიკულები ჭამაში ხელს უშლის. წვრილი თევზების მეტს ვეღარაფერს გეახლებათ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ვეშაპები ახლა, ჩვენს დროში, ვერც მოზრდილ ადამიანებს, ვერც ბიჭებს და ვერც გოგონებს ვერ ყლაპავენ.

იმის შიშით, ვაითუ ვეშაპი გამიბრაზდესო, ეშმაკუნა-თევზუნა ეკვატორის კარის ზღურბლზე ერთ-ერთ ჭანჭრობში დაიმალა.

თავის ბასრ დანას გადარჩენილი მეზღვაური თან ატარებდა, ეცვა ცისფერი ტილოს შარვალი, მაგრამ ქამარი... ქამარი ვეშაპის ხახაში დატოვა, ქამრით ხომ რიკულები შეკრა.

აი ასე მთავრდება ეს ზღაპარი:

გემძირედის სარკმელში რომ ჩამუქდება
წყალი,
ქარიშხლის დროს, როცა ბინდი ჩამოწვება
ზღვაზე,
როცა გემი დატორტმანობს ვით უგონოდ
მთვრალი,
მოსრიალე ჩემოდნებთან გდია ძიძა ქალი.
როცა გემბანს გადაუვლის ტალღა რისხვით
სავსე,
პირიც ვერ დაგიბანია, ვერც ჩაგიცვამს
ტანზე.
როცა ამდენ შიშს და ძრწოლას გული
ვეღარ იტევს
და ქაოსი გაწყევლინებს დაბადების საათს,
აი მაშინ კი მიხვდები ამ ჯადოსნურ
სიტყვებს:
დასავლეთის 40-სა და ჩრდილო 50-ს.

ინგლისურიდან თარგმნა
ლუიზა მიტიჩაშვილმა.

ლექსები თარგმნა **ამირან ასანიძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ელექტრო ბატარეის შეერთება გინდა რაიმესთან, ჯობს ამისათვის საკანცელარიო სამაგრები გამოიყენო.

ლითონის ქვაბი სითბოს იოლად ატარებს. სრულიად მოულოდნელად შეიძლება ისე გახურდეს სახელურები, რომ დიასახლისმა ხელები დაიწვას. ქვაბის ლითონის სახელურებს პლასტმასის გარსიანი მავთული დაახვიე — სახელურები იოლად აღარ გახურდება და უეჭველად დაიმსახურებ დიასახლისის მადლობას.

ამდაგვარად შეკრული სამი ფიცარი კარგი ჩამოსაკიდი იქნება საღებავიანი ვედროსათვის.



სახურავის შეკეთების წინ არ დაგავიწყდეს გაუკეთო კიბეს ჰორიზონტალური საყრდენები — კიბე უფრო მყარი იქნება და არც საწვიმარი ღარი გაფუჭდება.



რეზინის ჩექმების ჩაცმისას ქუსლის მხრიდან კაპრონის წინდა უნდა ჩაიტანოთ, ფეხი იოლად ჩაცურდება შიგ, წინდის ამოღება კი შემდეგ ძნელი არ არის.

ასეთი საყრდენი შეიძლება ცხელი უთოს ჩამოსაკიდად გამოდგეს, ოღონდ, ლითონის მავთული 8 მმ სისქისა მაინც უნდა იყოს.

იმაზე, თუ რამდენად კარგად არის არეული ზეთის საღებავი, ბევრად არის დამოკიდებული შეღებილი ზედაპირის ხარისხი; ამიტომ კარგი იქნება, თუ საღებავს კოლოფშივე აურევ, ისე, როგორც აქაა ნაჩვენები.

სამეგვერი

ბრძანებულება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „პიონერის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ — გარეკ. 2.

ე. მერაბიშვილი — თრიალეთის ციალი (მოთხრობა. გაგრძელება) 1

ნ. შენგელაია — „ია“ და შეფები (ნარკვევი) . . . 8

ევგ. ბართაია — მოდის თეთრი გემი; ტყე და წყარო შველის (ლექსები) 11

ნ. ბეზარაშვილი — საბძელი (მოთხრობა) . . . 12

თ. ავალიანი — ჩვენი ქვეყნის უთვალავი ფერი (წერილი) 14

„ა ი ს ი“ 17

ე. დიდიმამიშვილი — ჩვენი საყვარელი მწერალი (წერილი) 18

შ. როყვა — სიკეთე; გმადლობთ, დედას წავუღებ (მოთხრობები) 20

ნ. ფაილოძე — საიმედო თანაშემწე (ნარკვევი) . . 22

გ. ვარაზანაშვილი — ბატონის ხუმარა და მეჭურჭლე (მოთხრობა) 24

შ ე ნ ი უ ც ხ ო ე ლ ი თ ა ნ ა ტ ო ლ ე ბ ი 26

ი ც ნ ო ბ თ უ ა რ ა შ ე ნ ს მ შ ო ბ ლ ი უ რ მ ხ ა რ ე ს? 27

რ. კიპლინგი — რატომ აქვს ვეშაპს ასეთი ხახა (ზღაპარი, თარგმანი ლ. მიტიჩაშვილისა) . . 28

„მ ხ ე დ რ ი ო ნ ი“ 29

გარეკანის მხატვრობა ზურაბ მეძმარიაშვილისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 22/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-77 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 4237 ტირ. 146.000. უე 08070

ფასი 20 კაპიკი

რ ე დ ა ქ ც ი ა ში შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ებ ა თ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

 © „პიონერი“, 1977 წ.

შეამოწმეთ

ეს ორი სურათი თითქოს სულ ერთნაირია, მაგრამ სინამდვილეში მათ ბევრი განმასხვავებელი ნიშანი გააჩნიათ. აბა მოძებნეთ, რითი განსხვავდება ეს ორი სურათი ერთმანეთისაგან.

ამოცანა

გამოცანები

ბებომ მომცა იქსი ცალი
ვაშლი ლოყაწითელი;
ექვსი კომში უკვე მქონდა,
ქარვასავით ყვითელი.
ამ დილას კი რომ გვეწვია
სახლში ძია ზურაბი,
მომიტანა ცხრა ხურმა და
ერთით მეტი გულაბი.
ჰოდა, ხუთჯერ შვიდი ცალი
ხილი დამგროვებია.
მაშ, რამდენი ვაშლი მომცა
საყვარელმა ბებიამ?

შ. ამირანაშვილი.

კედელს ჰკიდია
ჩარჩოში
ჩასმული შავი ფიცარი,
თეთრი სიტყვებით
საუბრობს
რა არის?
გამოიცანი!

გ. წერეთელი.

მოძრავ სახლის
სახურავზე
აღმართული ანკესი
სქელ სიმებს რომ
შეეხება,
ცვივა ცეცხლის ნაკვესი.

გიორგი შეთეკაური.

●

მოვარდება,
ხეებს მოთხრის,
აიშლება მთა და ბარი.
მაგრამ ისე, კაცმა რომ
თქვას,
არც სახლი აქვს
და არც კარი,

●

გამსვლელი თუ
შემომსვლელი
მე მეხება
ხელზე ხელით.



ერთხელ ვენეციაში, წმინდა მარკოზის მოედანზე ცდა ჩაატარეს. ექსპერიმენტში მონაწილეობის მსურველნი ტაძრის შუა ნაწილის პირდაპირ, 175 მეტრის მოშორებით დააყენეს, მათ თვალები აუხვიეს და შენობის ფასადამდე მისვლა დაავალეს. მიუხედავად იმისა, რომ შენობის სიგანე 82 მეტრია, ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მიაღწია ტაძრამდე: ყველამ მკვეთრად მარჯვნივ მოუხვია.

ეს არც თუ გასაკვირი ამბავია. სწორ ზედაპირზე, ორიენტირის გარეშე ადამიანი პირდაპირ ვერასოდეს ვერ მიდის და უეჭველად მარჯვნივ უხვევს. ეს იმიტომ ხდება, რომ მარცხენა ნაბიჯი მარჯვენაზე 0,1-0,4 მმ მეტია. ამის გამოა ისიც, რომ მაგალითად, ტყეში დაბნეული მოგზაური დაახლოებით 3,5 კილომეტრის დიამეტრიან წრეს ხაზავს — ისევ საწყის ადგილს უბრუნდება.

ასეთი ცდა იოლად შეგიძლიათ ჩაატაროთ მოზრდილ ვაკე ადგილზე, მინდორში, მოედანზე. შეგიძლიათ გაავლოთ ხაზი, გაჭიმოთ ბაწარი და ამ ხაზისა თუ ბაწრისკენ თვალახვეულებმა იაროთ.

მზე რომ წვავდა
მინდორ-ველებს,
სიცოცხლედ
მე შევეშველე.

შ. შუბლაძე.

თავსატეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ დიდი ქართველი მეცნიერის გვარი.

არსენ დემურიშვილი,
პატარა დმანისის რვაწლიანი სკოლა, V კლასი.

პასუხი № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

შარადა

1.

მარხილი,
მარგილი,
მარილი.

2.

ციგა

გამოცანები

ლაზერის სხივი,
თუთიყუში,
თოვლი,
საათი,
ხელ-ფეხი,
საზამთრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲨᲘ

ᲢᲔᲥᲡᲢᲘ
ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲣᲠᲔᲨᲘᲫᲘᲡᲐ

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ
ᲒᲘᲒᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡᲐ

6/21/37

თბილისის 53-ე სკოლა, VI კლასი.



შენა ხარ ჩვენი თვალის გახელა,
შენ საქართველო ᲭᲕᲘᲐ სახელად,
შენ ცა არასდროს დაგებინდება,
ჩვენი სუნთქვა ხარ, ჩვენი დიდება.

თებერვლის იის ჩქერში ნაბანო,
ულამაზესო ჩვენო მთა-ბარო,
შენთვის მზადა ვართ თავი გავწიროთ,
სიცოცხლე ჩვენი გაგინაწილოთ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲚᲔᲠᲘ:

ჩვენო სიმღერავ, ჩვენო ოცნებავ,
სამშობლოდ ქმნილი ხარ საოცრება,
ხარ გულისცემა და ურუანტელი,
წმინდა, ალალი, ნაღდი, ნათელი.

შენ აშენებდი გამძლე ქონგურებს,
ავაუკაცებდი ვაუებს ლომგულებს,
შენ მათმა მკლავმა გადაგარჩინა
და მზის ნათელში გამოგაჩინა.

შენ კვლავ მიელტვი მწვერვალებს ახალს,
უფრო დიდებულს და უფრო მაღალს,
გშვენის დროშები ცად აფრენილი
და მოკაშკაშე შუქი ლენინის.

ᲛᲘᲡᲐᲛᲚᲔᲠᲘ:

ჩვენო სიმღერავ, ჩვენო ოცნებავ,
სამშობლოდ ქმნილი ხარ საოცრება,
ხარ გულისცემა და ურუანტელი,
წმინდა, ალალი, ნაღდი, ნათელი.

ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 76157